

780/3
1998

13

ԱՐԵՎԵԿԱՆ



3—4

1998

ვერტების განვითარება

პირი თურქული და მარქენი

თარგმნები და განვითარების და მარქენი

ორმოქმადების პირი

მოქმედი პირი:

ზღვაოსნობის მინისტრი – 55-60 წლის კარგად ჩაცმული მამაკაცი.
მინისტრის მოჩევალი – დაახლოებით 60 წლის ბიუროკრატი მოხე-

ლი.

მინისტრის კაცელარიის მმართველი – 45 წლის ტიპიური ჩი-
ნოვნიკი.

მინისტრის მცველი – 30 წლის სიმპათიური, ჩუმი, ტლუ კაცი.

ტელეოპერატორი – ერთ-ერთი კერძო ტელეკომპანიის თანამშრომე-
ლი. 35 წლის სიმპათიური, წვერმოშვებული მამაკაცი. საინტერესო ტელემასა-
ლის ხელში ჩასაგდებად უკან არაფერზე დაიხევს.

მფრინავი – პიესის დასაწყისში ცოტახნით გამოჩნდება. პიესის მსვლე-
ლობისას ის მკვდარია.

კორესპონდენტი – იმავე ტელეკომპანიის თანამშრომელი, პიესის ერ-
თადერთი პერსონაჟი ქალი, 25 წლისა, ლამაზი.

დეპორაცია: – მთის წვერზე პატარა მოედანი. მის უკან ციცაბო კლდე-
ებია აღმართული. მოედანზე იძულებითი დაშვებისას დაზიანებული ვერტმფრენა
დგას.

ადგილი: – ჩვენი ქვეყანა ნამდვილად არ არის, რადგან ჩვენ ჯერჯერო-
ბით არ გვყავს ზღვაოსნობის მინისტრი.

დრო: – დღევანდელი.

I მოქმედება

(ფარდის გახსნამდე ისმის ვერტმფრენის გრუხუნი, რომელიც თანდათან
ახლოვდება, გრუხუნი გაუსაძლისი ხდება. ისმის ვერტმფრენის დაფრენის ხმა.
დაფრენას ღრმიალი და ჭახანი ახლავს. ჩანს, იძულებითი დაფრენაა. სიჩუმე-
ფარდა ისსნება, საცაა მზე ჩავა... ვერტმფრენში დიდი არეულობაა... მფრინავი
ყველას ეხმარება გამოსვლაში. პირველი მინისტრი გამოდის, შემდეგ – მრჩე-
ველი, მინისტრის კანცელარიის მმართველი, კორესპონდენტი, მცველი და ტე-

ლეოპერატორი. ისინი ვერტმფრენის კიბეზე ფაცხაფუცხით ჩამოდიან. ვერა-
ვინ ამჩნევს, მფრინავი ვერტმფრენში რომ ეცემა ძირს).

მინისტრი: შეიძლება აფეთქდეს!

მრჩეველი: ჩქარა! ჩქარა!

მმართველი: თავს უშველეთ!

პროგრამისაონდენტი: ღმერთო ჩემო!

ოპერატორი: (მხარზე კამერა აქვს გადებული, თვალს არ აშორებს კო-
რესპონდენტს): აქაურობას გაეცალეთ!

(ვერტმფრენიდან ჩამოსულები შეძლებისდაგვარად შორდებიან იქაურობას):
დაწექით! (ზოგი ჩაიჩოქებს, ზოგი ჩაჯდება და თავს მიწაში წარგავს, ზოგი სა-
ხეზე ხელებს აიფარებს). დაწექით, დაწექით! (კამერას ვერტმფრენისაკენ აბრუ-
ნებს, იღებს). პირქვე დაწექით! (პირქვედამხობილები წვანან. ოპერატორი იღებს)
თავი დაწიეთ!

(აფეთქების მოლოდინში ხმადაბლა საუბრობენ)

მმართველი: ბატონო მინისტრო, თავი დაწიეთ!

მცველი: (მლიქვნელურად) მე დავითარავ ბატონ მინისტრს...

(მინისტრს ისე გადაეფარება, ლამის გაჭეჭყოს).

მინისტრი: ვეღარ ვსუნთქავ!

მმართველი: ცოტათი აიწიე!

მცველი: (ხელებზე აიწევს) კარგია, ბ-ნო მინისტრო?

მინისტრი: გამსრისე და ეგ არის!

მცველი: ბოდიში.

მინისტრი: კაცო, შენ ხომ ზომა არაფერში იცი!

მცველი: (კიდევ იწევს ხელებზე), საკმარისია, ბ-ნო მინისტრო?

მინისტრი: ცოტაც და, გავიგუდებოდი!

მცველი: თქვენი უსაფრთხოებისათვის...

მინისტრი: ოჰ, რა არის? ისევ ხახვიანი რაღაც გიჭამია!

მცველი: ლაპმაჯუნი გეახელით, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: ბრიყვო, აკი აგიკრძალე ლაპმაჯუნის ჭამა!

მცველი: რა ვიცოდი, თუ ასე ახლოს ყოფნა მომიწევდა.

მინისტრი: ხმა ჩაიწყვიტე!

მცველი: არის, უფროსო.

მინისტრი: იქით გაიწიე! სახეში ნუ მასუნთქავ!

(მცველი განზე გადის. ოპერატორი კამერას ჩაჰკირკიტებს)

პროგრამისაონდენტი: ვერაფრის გაგება ვერ მოვასწარი...

ოპერატორი: გცივა? პალტო მოგცე?

პროგრამისაონდენტი: ეს სიცივე არ არის, შოკია...

ოპერატორი: (პალტოს იხდის) ახლავე გაგივლის...

პროგრამისაონდენტი: მერე...

ოპერატორი: (პალტოს აფარებს) ცოტა ხანში ავიღებ...

პროგრამისაონდენტი: გმადლობთ.

(სიჩუმე. აფეთქების მოლოდინში არიან. ოპერატორი გადაღებას განაგ-
რძობს)

ოპერატორი: ალბათ აღარ აფეთქდება.

მრჩეველი: შეიძლება აფეთქდეს.

მინისტრი: რა იცი, რომ შეიძლება აფეთქდეს?

ოპერატორი: დაჯახება არ ყოფილა, მძიმედ დაჯდა. ეგ არის
და ეგ.

მინისტრი: ცოტაც მოვიცადოთ.

მართველი: მართალია, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: გარანტირებული რომ ვიყოთ.

მართველი: მართალს ბრძანებთ, ბ-ნო მინისტრო.

მართველი: შენ რას იტყვი, მრჩეველო?

(მინისტრსა და მრჩეველს შორის დაძაბულობა იგრძნობა. მრჩეველი პატი-
ვისცემით, მაგრამ ცივად ეპყრობა მინისტრს)

მრჩეველი: კარგი იქნება, თუ დაველოდებით, ბ-ნო მინისტრო.

მართველი: თქვენის ნებართვით, ცოტათი კიდევ გავიწიოთ, მოვშორ-
დეთ აქაურობას.

მინისტრი: ვითომ რატომ?

მართველი: ნუ გავიწევით, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: შენიც ვერაფერი გამიგია! წამოისვრი რაღაცას და მაშინვე
გადათქვამ.

მართველი: რომ იკითხეთ, რატომო, ვიფიქრე, ბ-ნ მინისტრს არ სურს-
მეთქი.

მცველი: აქაურობა ძალიან კარგია, ბ-ნო მინისტრო. სადაც ინებებთ, იქ
დაველოდებით, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: გაჩუმდი!

(სიჩუმუა... მოლოდინი გრძელდება)

ოპერატორი: ნეტია, სადა ვართ?

მინისტრი: რომელიდაც მწვერვალზე.

პოლისარიზმი: ამ ადგილს მწვერვალი არც ეთქმის, ბ-ნო მინისტრო,
მთის თავზე ვართ.

მინისტრი: რა განსხვავებაა? საკმაოდ მაღლა ვართ...

ოპერატორი: მთასა და მწვერვალს შორის განსხვავება როგორ არ არის;
ბ-ნო მინისტრო! ერთს მთა ჰქვია, მეორეს – მწვერვალი.

მინისტრი: ოჭ, რა თავისნათქვამი ხალხია! მაღლობზე ვართ. მორჩა და
გათავდა!

მრჩეველი: არა, მაინც რატომ ვართ აქ? აქ რა გვინდა?

(სიჩუმეა. ელოდებიან, ოპერატორს თანდათან ბეზრდება ლოდინი)

ოპერატორი: მაინც რამდენ ხანს უნდა ველოდოთ?

მრჩეველი: თუ არ გინდა, ნუ დაელოდები. სხვა რა გზაა? სასწრაფო სა-
ქმე გაქვს?

მინისტრი: პაემანი გაქვს, ახალგაზრდავ?

ოპერატორი: ცოტა ხანში შეყვარებულს უნდა შევხვდე.

მრჩეველი: ადექი და წადი, არ დაგავიანდეს. არა, ბ-ნო მინისტრო?

(ნერვიულად იცინიან. მოლოდინი გრძელდება)

ოპერატორი: (მიწოლილი იყო და წამოჯდა) ეე, მომბეზრდა...

მინისტრი: ცოტა კიდევ მოითმინე.

მართველი: მართალი ხართ, ბ-ნო მინისტრო.

ოპერატორი: თუ ასაფეთქებელი იყო, აქამდე აფეთქდებოდა.

მინისტრი: ხომ არ გეწყინა, რომ არ აფეთქდა?

მრჩეველი: ბოლოს და ბოლოს მაინც აქ არა ხარ? მიწექი, უფრო დაცუ-
ლი იქნები.

(ოპერატორი მიწვება და ცდილობს გადაიღოს დაწოლილები)

მინისტრი: ყმაწვილო, რას აკეთებთ?

ოპერატორი: შემთხვევას ვაფიქსირებ, ბ-ნო მინისტრო. სათაურიც მზად მაქვს: ზღვაოსნობის მინისტრი, მისი მრჩეველი, მისი კანცელარიის მმართველი და მისივე მცველი ვერტმფრენის აფეთქების მოლოდინში.

მინისტრი: (ნახიამოვნებია, მაგრამ მაინც): თავი არ მოგვჭრა!

ოპერატორი: როგორ გეკადრებათ, ბ-ნო მინისტრო, თქვენი შეურაცხოფა ჩემს შესაძლებლობას აღემატება.

(ყველა ნელ-ნელა წამოყოფს თავს. მინისტრი, კანცელარიის მმართველი და მცველი მედიდურ პოზას იჭერენ)

ოპერატორი: ნუ იღრიჭები, ნუ იღრიჭები, მცველო, შენ გეუბნები! სიცილის დროა? ნახეთ, ისევ იღრიჭება!

მინისტრი: ნუ იცინი, შვილო, ნუ იცინი!

ოპერატორი: (უცებ) ბაახ!

(ყველა შეშინებულია)

ოპერატორი: აი, გადასაღები კადრები!

მინისტრი: ეს რა ქენი, კაცო?

მამართველი: ისედაც გულგახეთქილები ვართ, ეგლა გვინდოდა?

კორესპონდენტი: თუ ღმერთი გწამთ...

ოპერატორი: რეფლექსია. არ მინდოდა, ჩემდა უნებურად მოხდა.

მცველი: (ხმადაბლა) ბაღლინჯო!

(ოპერატორმა ვითომ ვერ გაიგონა. მცველზე გაბრაზებულია. გადაღებას ამთავრებს, კამერას ძირს დებს. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებს)

ოპერატორი: ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: არ ვეწევი.

ოპერატორი: მრჩეველო!

მრჩეველი: იმედი მაქვს, ასანთით მოკიდებას არ აპირებ.

ოპერატორი: არა, სანთებელათი მოვუკიდებ.

მრჩეველი: რა განსხვავებაა! შეიძლება აფეთქდეს!

ოპერატორი: ვინ იფიქრებდა, რომ ამ მთაზე გავჩერდებოდით? თუ აფეთქდება, ესეც ბედისწერა იქნება.

(ოპერატორი ჯიბიდან სანთებელას იღებს და სიგარეტს უკიდებს. ყველანი შიშით შესხერებიან)

ოპერატორი: როგორც ხედავთ, არ აფეთქდება. უკვე შეგიძლიათ, ადგეთ.

(ნელ-ნელა წამოიწევიან, მაგრამ ფეხზე არ დგებიან. ისევ მიწაზე სხედან. გაოცებულები არიან)

მინისტრი: იოლად გადავრჩით.

კორესპონდენტი: ეტყობა, მადლმოსილები ვართ. ბევრი მოწყალება გაგვიცია.

მამართველი: ცოტაც და, სულს გავაფრთხობდით.

მცველი: საიქიოს მივდიოდით.

მამართველი: გადარჩენას გილოცავთ, ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: მადლობას მოგახსენებთ.

მცველი: (დგება, მინისტრს ხელზე ჰქოცნის) გილოცავთ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: გმადლობთ, შვილო.

მრჩეველი: გილოცავთ.

მინისტრი: (ძრჩეველის ცივ დამოკიდებულებას გრძნობს) გმადლობთ.

(კორესპონდენტი) თქვენც გილოცავთ, მშვენიერო კორესპონდენტო.

კორესპონდენტი: გმადლობთ, ბ-ნო მინისტრო.

ოპერატორი: მოკლედ, ყველას გილოცავთ. მართლაც რომ ძალიან რთული ავარია გადავიტანეთ. ცოტაც და „იყო და არა იყო რა“...

მინისტრი: მართალია.

მრჩეველი: ჩვენი იღბალი, რომ ასე არ მოხდა.

მმართველი: ერთი სიტყვით, ბედი გვქონია.

მინისტრი: ჯერაც ვერ გამიგია, რა მოხდა.

მრჩეველი: თავიდანვე აშკარა იყო...

მინისტრი: რა იყო, კაცო, აშკარა?

მრჩეველი: თითქოს შინაგანად ვკრძნობდი.

მინისტრი: აკი აიჩემე: ტყუილად მივდივართ, ნუ წავალთო.

მრჩეველი: მე ხვალინდელი თათბირის გამო ვამბობდი.

მინისტრი: თათბირი ჩატარდება.

მრჩეველი: საზღვარგარეთელი სპეციალისტები მოდიან, რამდენიმე თვის წინ დაგეგმილი თათბირია. ძალიან ცუდად გამოვიდა. დასანანია.

მინისტრი: არაფერია დასანანი. გაიგე, კაცო, მიწისძვრა! ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ რაიონში მიწისძვრა მოხდა. ჩვენი ჩასვლა აუცილებელი იყო.

მრჩეველი: რა კავშირი აქვს, ბ-ნო მინისტრო, მიწისძვრას ჩვენს სამინისტროსთან?

მინისტრი: ამაზე მერე ვიღაპარაკოთ.

მრჩეველი: კარგით, ბ-ნო მინისტრო...

მინისტრი: ისე, ცოტათი ყველა შეგვაშინა ამ უბედურმა შემთხვევამ...

ოპერატორი: ცოტათი კი არა, გვარიანად შეგვაშინა, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: (თითქოს აფორიზმს ამბობს): ყველა ადამიანი თავის თავში ვაჟკაცსაც დაატარებს და მშიშარასაც.

მმართველი: (სხვების გასაგონად) რა დიდებული აფორიზმია!

მინისტრი: რადგანაც ადამიანები ვართ, კიდევაც შეგვეშინდება.

მმართველი: კალმისტარიც არა მაქვს, რომ ჩავიწერო.

(მცველი მმართველს კალმისტარს აწვდის)

მმართველი: (იღებს უბის წიგნაკს და გადაშლის). გილოცავთ, ბ-ნო მინისტრო, შეიძლება ჩავიწერო?

მინისტრი: რა უნდა ჩაიწეროთ?

მმართველი: რაც ახლახან ბრძანეთ. არაჩეულებრივი იყო, ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: რა ვთქვი? ადამიანის შიში... ადამიანი და შიში... რატომ არ იწერთ?

მმართველი: ასე არ იყო, ბ-ნო მინისტრო. „ადამიანი გულადობასა და მშიშარობას“... რაღაც ამდაგვარი ბრძანეთ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: ზუსტად იგივეს როგორდა ვიტყვი? თუ ჩაწერა გინდა, ამას იქით მაგნიტოფონი თან იქონიე.

მმართველი: როგორც მიბრძანებთ, ბ-ნო მინისტრო.

ოპერატორი: (დაცინვით) კასეტა, მაგნიტოფონი. ძნელია. უკეთესია, თუ სულ მზად გაქნებათ ფანქარი და ქაღალდი და როგორც კი მნიშვნელოვან აფორიზმს იტყვის, მაშინვე ჩაიწერო.

მრჩეველი: მფრინავის გამჭრიახობა რომ არა, კარგა ხნის... (მფრინავის ხსენებაზე ყველა ერთბაშად მიმოიხედავს. იწყებენ მფრინავის ძებნას)

მინისტრი: მართლა, მფრინავი სად არის?

მართველი: რა ყურადღებიანი მინისტრი გვიავს!

ოპერატორი: ბოლოს მაშინ დავინახე, ვერტმფრენიდან რომ გამოვდიოდი.

მცველი: მეც... მეც... მაშინ...

(ფეხზე წამომდგარნი იქაურობას ათვალიერებენ)

მრჩეველი: დიახ, ჩვენთან ერთად არ გამორბოდა?

მინისტრი: არა, აქ არ არის (მცველს), აბა, ავიდეთ ვერტმფრენში. ვნახოთ.

(მინისტრი და მცველი ვერტმფრენისაკენ მიემართებიან. მმართველი წინ გადაუდგება)

მართველი: არა, ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: რა არა?

მართველი: ვერ აგიშვებთ იმ ვერტმფრენში. ვერ შეხვალთ. თქვენ ქვეყანას სჭირდებით.

მინისტრი: რას სულელობ! ახლა მაგის დროა?

მართველი: არა, არა, რომ აფეთქდეს?

მინისტრი: ნუ სულელობ!

მართველი: ჩვენ გვიყვარს ჩვენი მინისტრი!

მინისტრი: გზიდან ჩამომეცალე!

მართველი: მე წავალ, ბ-ნო მინისტრო, ჩემი სიცოცხლე თქვენთვის...

(მინისტრი კანცელარიის მმართველს უხეშად ჩამოიცილებს გზიდან)

მინისტრი: საშიშროება აღარ არსებობს. თუ რამის გაკეთება გინდა, ამ ყმაწვილს მიეხმარე გადაღებაში. გაიგე?

მართველი: გავიგე, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: (ყველას გასაგონად): თუ სიკვდილი მიწერია, მოვკვდები და, იმ კაცს კი იქ მარტო ვერ დავტოვებ. (ვერტმფრენისაკენ მიდის)

მართველი: (ოპერატორს) დააფიქსირეთ.

მინისტრი: ხომ არსებობს პასუხისმგებლობის გრძნობა!

ოპერატორი: (ხვდება, რომ მინისტრი თამაშობს): მინისტრო!

მინისტრი: (ჩერდება და უკან იხედება): დიახ...

ოპერატორი: რომ აფეთქდეს?

მინისტრი: (ვერ ხვდება რომ დასცინის) ეგეც ბედისწერაა...

(მინისტრი და მცველი ვერტმფრენისაკენ მიემართებიან).

ოპერატორი: ბაახ!

(მინისტრი და მცველი შეხტებიან)

მცველი: დამპალი!

(მინისტრი ხელით ანიშნებს, დამშვიდებით).

ოპერატორი: ვიხუმრე.

(იწყებს გადაღებას, მინისტრი და მცველი ვერტმფრენში შედიან. კორესპონდენტი ზურგის ტკივილს გრძნობს).

მართველი: (უნდა მრჩეველს ასიამოვნოს) რას არ ვუთმენთ ამ კაცს! სისხლს გვწოვს, სისხლს.

კორესპონდენტი: მერე, რატომ ხართ მასთან?

მართველი: სხვა გზა არა მაქვს და იტიტომ. პენსიის გამო იძულებული ვარ მოვითმინო.

ოპერატორი: თუ სიმართლე გინდა, შენისთანა მლიქვნელი არ შემხვედრია. ამას რაიმე ახსნა აქვს?

მართველი: როგორ არა აქვს. ამის ახსნა თავისუფლების სურვილია. ეს ჩემთვის მეორე მინისტრია...

(მინისტრი ჩამოდის ვერტმფრენიდან. უკან მცველი მოჰყვება)

მინისტრი: (მწუხარე გამომეტყველებით) ძალიან ცუდი ამბავი უნდა გითხროთ, მფრინავი დავკარგეთ.

მართველი: (ვითომ ვერ მიხვდა): მოვძებნოთ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: მფრინავი დაღუპულა.

მრჩეველი: ეგრეც ვიცოდი.

მართველი: ღმერთო, გაანათლე მისი სული.

ოპერატორი: ღმერთო ჩემო!

კორესპონდენტი: მომკვდარა?

მრჩეველი: მივხვდი, ცუდად რომ იყო.

ოპერატორი: მე კი დაფრენის მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა მეგონა.

მრჩეველი: არა, ყმაწვილო, მფრინავი პაერშივე გახდა ცუდად. თავგანწირვის ფასად დაგვსხა. ვერტმფრენის აფეთქების საშიშროებაც გაითვალისწინა, ჩვენს გამოყვანაზეც იზრუნა და მოკვდა.

ოპერატორი: ჭკუასთან ახლოსაა.

კორესპონდენტი: ძალიან ცუდი.

მინისტრი: ღვთის წყალობით, ჩვენ საღ-სალამათნი ვართ.

მრჩეველი: მაგრამ საბოლოოდ ღმერთისაგან მიტოვებულ მთაზე დავრჩით.

თავიდანვე ეტყობოდა, რომ ასე იქნებოდა.

მინისტრი: რაზე ეტყობოდა?

მრჩეველი: სათადარიგო მფრინავს უნდა დავლოდებოდით.

მინისტრი: მაშინ დაგვაგვიანდებოდა.

მრჩეველი: ახლა რომ სულაც ვეღარ წავალთ?

მინისტრი: რა ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა?

მრჩეველი: სათადარიგო მფრინავის შესახებ აკი გაგაფრთხილეთ, ბ-ნო მინისტრო?

მინისტრი: (გაბრაზებულია, მაგრამ ცდილობს არ შეიმჩნიოს): ჩემს გამჭრიახობას ვენდე, გენაცვლე.

მრჩეველი: ახლა ვარგა ხნის მისულები ვიქნებოდით მიწისძვრის რაიონში. ასე კი, მიწისძვრის რაიონს ვიღა ჩივის, საკუთარი სიცოცხლეც საფრთხეში ჩავაგდეთ.

მართველი: ბ-ნო მრჩეველო, რა საფრთხეზე ლაპარაკობთ, როცა ცხვირიდანაც კი არ წამოგვსვლია სისხლი?

მრჩეველი: უკვე გვყავს ერთი მიცვალებული. ვინ იცის, კიდევ რა გვალის. იქნებ ბლომად სისხლიც დაგვდინდეს. უცნობ ადგილზე ვართ, მფრინავი მკვდარია, საცაა დაღამდება.

მინისტრი: (აღვლვებულია): მგონი გიხარიათ.

მრჩეველი: მხოლოდ შეცდომას აღვნიშნავ.

მინისტრი: ამაზე მერე ვიღაპარაკებთ.

ოპერატორი: არა, ახლა უნდა ვიღაპარაკოთ. მანამდე კი ვითარებაში გავერკვეთ. სადა ვართ, ბატონებო? რა ადგილია?

(ოპერატორი ახლომახლო მიივლ-მოივლის. მინისტრი, მმართველი და მცვე-

ლი ცალკე დადიან. ოფიციალურ მსვლელობას ჰგავს მათი სიარული. მრჩეველი და კორესპონდენტი სხედან.)

პორმესპონდენტი: ვერ ვიჯერებ მფრინავის სიკვდილს.

მრჩეველი: ერთი მეგობარი მყავდა. ცოლთან კარგა ხნის გაყრილი იყო, წამოზრდილი ბიჭი ჰყავდა. დედასთან ცხოვრობდა. ჩემი მეგობარი მხოლოდ ზაფხულის არდადეგებს ატარებდა შვილთან, ზღვაზე. სამი წლის წინ ერთად ვისვენებდით. ერთ დღეს მე და ჩემი მეგობარი ჭადრაკს ვთამაშობდით. ბიჭი ზღვაში ბანაობდა. ერთბაშად ყვირილი ატეხა. შველას ითხოვდა. იხრჩობოდა. მამა, ასაკის მიუხედავად, დიდი სისწრაფით მიცურდა შვილთან. თმაში ხელი ჩაავლო და წარმოუდგენელი ძალისხმევით გამოიყვანა ნაპირზე. შვილი კი გადაარჩინა, მაგრამ თვითონ ვეღარ წამოდგა. მფრინავის სიკვდილმა გამახსენა ეს ამბავი.

(კორესპონდენტი ზურგზე დაწოლას ლამობს. ჩანს, რომ ძალიან სტკივა. მოდიან მინისტრი და ოპერატორი. დანარჩენები უკან მოჰყვებიან. მიდამო შეუმოწმებიათ.)

მინისტრი: მაღალია.

ოპერატორი: თანაც კლდეა. აქედან რომ ჩახვიდე, მთამსვლელი უნდა იყო. არც ეს არის საკმარისი — საჭიროა იარაღი, თოკი, სოლი, წერაყინი და ასე შემდეგ, გინდათ, არ გინდათ, დავრჩით აქ რამდენიმე დღე და ეგ არის?

მინისტრი: არა, გენაცვალე, უცებ გვიპოვიან.

ოპერატორი: რომ გვიპოვონ, ხმა უნდა მივაწვდინოთ. მუშაობს რაცია? უფრო სწორად, ჩვენს შორის ვინმე შეძლებს დაკავშირებას?

მრჩეველი: მე ვერა.

ოპერატორი: (მცველს) შენა?

მრჩეველი: (მობილურ ტელეფონს დაანახვებს) არ გადის.

ოპერატორი: მიდი, შიგნიდან სცადე.

მინისტრი: გაიქაცი, ნუ აყოვნებ (მცველი ვერტმფრენისკან გარბის. სხვა ბი უხმოდ ელოდებიან)

მცველი: (ბრუნდება) ვერ იჭერს, ბ-ნო მინისტრო.

ოპერატორი: გამოდის, რომ კავშირი არა გვაქვს.

მინისტრი: ჩვენს დაკარგვას რომ გაიგებენ, მთელი ქვეყანა ფეხზე დადგება.

ოპერატორი: რომ არ იციან სადა ვართ? უეჭველად გვიპოვიან, მაგრა ეს ხვალეც შეიძლება მოხდეს და ერთი კვირის შემდეგაც. ხვდებით, ბატონებო? მოკლედ, აქა ვართ და არავინ იცის, როდემდე დავრჩებით. ვერტმფრენის მართვა არავინ იცის ჩვენს შორის? ბ-ნო მრჩეველო!

მრჩეველი: ეგ რომ მცოდნოდა, აქ არ ვიქნებოდი.

ოპერატორი: მე მანქანის ტარებაც კი არ ვიცი.

პორმესპონდენტი: თვითმფრინავი რომ იყოს, კიდევ ჰო...

მცველი: მეც არ ვიცი.

ოპერატორი: მეგობრებო, კიდევაც რომ გვყავდეს მფრინავი, ვერაფერში გამოგვადგება. ამ ოხერს ხრახნი ჩამოვარდნია.

მინისტრი: ეს ყველაფერი ისედაც ცნობილია. ვის რაში სჭირდება სურათის გამუქება?

ოპერატორი: გამუქებულს არა, რეალურ სურათს ვხატავ, ბ-ნო მინისტრო: გაფრენის არანაირი შესაძლებლობა არა გვაქვს, ვინაიდან სიგნალი არ მიდის, ჩვენი ადგილსამყოფელის პოვნა შეუძლებელია. განა. ასე არ არის?

მრჩეველი: ვშიშობ, ბოლოს მკვდრებს გვიპოვიან.

მართველი: ღმერთმა დაგვიფაროს!

მრჩეველი: თუ ერთ კვირას დავრჩებით, ეგაც მოსალოდნელია.

მინისტრი: (შევირუბს) რას ამბობ, კაცო?!

მრჩეველი: ჩემს შიშს გამოვხატავ, ბ-ნო მინისტრო, ში...

მინისტრი: გაჩუმდი-მეთქი! მერამდენე დღეა ენა არ გაგიჩერებია. ლაპარაკობ და ლაპარაკობ. იცი, რომ ნერვები მეშლება და მაინც ლაპარაკობ!

ოკერატორი: (დასაწყისარებლად) ცუდ გუნებაზე ვართ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: არა, არა, თქვენ არ იცით, რა მოხდა. მრჩეველო ხმა ჩაიწყვიტე!

მრჩეველი: ისე მტუქსავთ, თითქო ბავშვი ვიყო.

მინისტრი: ხმა, ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი!

(სიჩუმე)

ოკერატორი: ახლა მშვიდად ვილაპარაკოთ, ბ-ნო მინისტრო. საცაა ჩამობნელდება. სანამ სინათლეა, თადარიგი დავიჭიროთ. ფიჩხი მოვაგროვოთ. ნახეთ, აქ ადრე ცეცხლი ნთებულა, მთამსვლელები იქნებოდნენ. აღარ შეგვციდება, თანაც იქნებ რომელიმე თვითმფრინავიდან ან ვერტმფრენიდან შეგვნიშნონ.

მინისტრი: (მცველს) წადი მოვაგროვე რამე დასაწვავი.

(მცველი შაშინვე გავარდება)

ოკერატორი: არა, არა, ერთად წავიდეთ, უფრო მალე მოვაგროვებთ, თანაც მარტო არ იქნებით.

კორესპონდენტი: მართალია.

მართველი: თქვენ ნუ დაიღლებით, ბ-ნო მინისტრო. რაც საჭიროა ყვალაფერს გავაკეთებთ.

ოკერატორი: მოდი, დროს ნუ ვკარგავთ. თუ რამეს ვიპოვით, მოვაგროვოთ ბარემ. ოღონდ, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, ძალიან შორს არ წახვიდეთ (ჟველანი, მინისტრის გარდა, მოედებიან იქაურობას და იწყებენ ფიჩხის მოგროვებას. მინისტრი ცოტას მოიცდის, ეთაკილება, მაგრამ მაინც შეუერთდება დანარჩენებს. ბნელდება, როცა კვლავ განათდება, გამოჩნდება კოცონი, ჟელას, გარდა მინისტრისა, თითო ტლილია ფიჩხი მოაქვს და ან კოცონის ახლოს ერის ან – კოცონში).

ოკერატორი: კარგია, ზამთრისათვის შეშა მზად გვაქვს.

მინისტრი: თანაც უფასოდ.

მართველი: თუ არ გვეყოფა, კიდევ მოვიტანთ.

კორესპონდენტი: ზურგი ძალიან მტკიცა, მეწვის, თითქო დანით დამჭრესო.

ოკერატორი: ზურგზე პერანგი გადაგხევია. მოიცა, ვნახავ (ხელს შეუყოფს პერანგში. სახე მოეღუშება) ნახე, სისხლი. თითქო რაღაცას დასჯახებისარ.

(სხვებიც მოდიან)

მართველი: ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

მრჩეველი: აჲა, სისხლიც დაგვდინდა!

ოკერატორი: აქამდე როგორ ვერ შეამჩნიე?

კორესპონდენტი: რა ვიცი.

მცველი: ყველაფერი კარგად იქნება, დაიკო!

მართველი: ყველაფერი კარგად იქნება.

კორესპონდენტი: გმადლობთ.

ოკერატორი: ვერტმფრენში საექიმო ჩანთა დავინახე.

მინისტრი: (მცველი) გაიქაცი და მოიტანე.

(მცველი მირბის).

ოპერატორი: ჩვენც ხომ არ შევსულიყავით, იქ უფრო თავისუფლად ვნახავთ ჭრილობას, მოგივლით.

კორესპონდენტი: მფრინავის დანახვას ვერ გავუძლებ.

ოპერატორი: კარგი, კარგი (მცველის მიერ მოტანილ ჩანთას იღებს) ზურგი ცეცხლს მიუშვირე, ღმერთმა ქნას, ჭრილობა ღრმა არ იყოს. (კორესპონდენტის პერიანგს უწევს. შუბლს იჭმუხნის) საშიში არაფერია, ჩემო კარგო.

კორესპონდენტი: გამახსენდა, დაჯდომისას რაღაცას მივეჯახე. უუკ, მეწვის!

ოპერატორი: რომელია ამათში თხევადი ჟანგბადი?

მართველი: (კოულობს. აწვდის) ბამბაც გინდათ?

(ოპერატორი ბამბით ჭრილობას |ასუფთავებს)

კორესპონდენტი: (ცდილობს არ შეიმჩნიოს, მაგრამ მაინც) უუკ, მალიან მეწვის.

ოპერატორი: კბილები ერთმანეთს დააჭირე.

(კორესპონდენტი კვნესის).

ოპერატორი: ცოტაც მოითმინე... აჲა, მორჩა! ახლა იოდი და მორჩა! ცოტაც უნდა გაუძლო.

(მმართველის მიერ მოწოდებული ბოთლიდან იოდს ბამბაზე ასხამს და ჭრილობაზე უსვამს. კორესპონდენტი ტკივილისაგან იგრიხება, ყვირის. მისი კვირილის მიუხედავად ოპერატორი თავის საქმეს განავრცობს. ჭრილობას უხვევს)

ოპერატორი: მოიცა ჩაცმაში მოგეხმარები.

(კორესპონდენტი ოპერატორის დახმარებით იცვამს)

ოპერატორი: ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

კორესპონდენტი: გმადლობთ. ყველას მადლობას ვიხდით.

(ოპერატორი ჰირველი დახმარების ჩანთიდან წამლებს იღებს და დასახლებებს კითხულობს)

ოპერატორი: აი, ტკივილგამაყუჩებელი ვიპოვე. წყალი.

მინისტრი: (მცველი) გაიქაცი, ვერტმფრენიდან წყალი მოიტანე. ჩემთვისაც წამოიღე!

(მცველი ვერტმფრენისაკენ მირბის).

ოპერატორი: ცოტაც და, ყველაფერი გაივლის.

(მცველს ორი ბოთლი წყალი და ორი ჭიქა მოაქვს. ჯერ მინისტრს აწვდის, შემდგა — ოპერატორს. ოპერატორი მწყრალად შეხედავს ამის გამო).

ოპერატორი: (ჭიქაში წყალს ასხამს) ვერტმფრენში წყალი რამდენია?

მცველი: არ ვიცი.

ოპერატორი: წადი, გაიგე! (კორესპონდენტს წამალს ასმევს), წადი— მეთქი!

მინისტრი: (არ მოსწონს, მის მცველს რომ უბრძანებენ) რა საჭიროა?

ოპერატორი: აკი ვთქვით, შეიძლება ვაგვიგრძელდეს აქ დარჩენა. საჭიროა წყალი, საჭმელი — თუ არის — თანაბრად გავინაწილოთ.

(მინისტრი ხელით ანიშნებს, მცველი მიდის)

ოპერატორი: არ მინდა ამის თქმა, მაგრამ ალბათ არც უთქმელობა ივარებს. თუ გახსოვთ, უწინაც მოხდა ანალოგიური კატასტროფა. მაშინაც მთაზე დარჩენილან და ვერ ჩამოსულან, მოშიებულებს ერთმანეთი დაუჭამიათ. დიახ,

დაუჭამიათ. კი არ უჩხუბიათ, მართლა შეუჭამიათ ერთმანეთი. პირველად ორი გენერალი, სამი დეპუტატი და ორი ბიზნესმენი გადაუძახებიათ კუჭში. მათ იარაღიც ჰქონიათ, მაგრამ შიმშილს იარაღისა არ ეშინია. მშიერ ადამიანზე ძლიერი იარაღი ჯერ არ გამოუგონიათ.

(ყველანი შეშფოთებულები და შეშინებულები ჩანან).

მინისტრი: თუ მეხსიერება არ მღალატობს, მაშინ მთაზე თოვლი იდო. ახლაც ასეა? (იცინის) ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ბებერი ხორცი არც ისე გემრიელია.

ოპერატორი: (სიცილით) გემოს გაუსინჯავად ვერ გატყვით. ისე, არც ბაზარში ნაყიდ ქათმის ხორცზე ითქმის, ძალიან გემრიელიაო, მაგრამ მაინც გეახლებით. თქვენ და თქვენი მცველი ერთი თვის სარჩო იქნებით ჩვენთვის.

მინისტრი: (კბილის კრაჭუნით) ჩემი ქვეშევრდომები თავს გაწირავენ ჩემი გულისათვის, ასე არ არის?

მმართველი: (აღელვებით) თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს ჩემი სიცოცხლე!

მინისტრი: (როცა დაინახავს, რომ მრჩეველი არაფერს ამბობს) ვინც თავისი ნებით არ შემეწირება, იმას მე შევჭამ.

ოპერატორი: ვხუმრობთ, ვხუმრობთ...

მრჩეველი: ყოველ ხუმრობაში ურევია ცოტა სიმართლე.

მცველი: (მოდის) ზემოთ ათი ბოთლია.

ოპერატორი: აქ რამდენია?

მცველი: ორი.

ოპერატორი: ძალიან კარგი. რამდენი კაცი ვართ?

მცველი: შვიდი.

ოპერატორი: (ითვლის) ექვსი.

მცველი: რომ მოვფრინავდით, შვიდი ვიყავით.

ოპერატორი: დაივიწყეთ მფრინავი. მას წყალი აღარ სჭირდება. გამოდის, კაცზე ორი ბოთლი წყალი გვაქვს. ჩამოვურიგოთ ყველას თავისი წყალი. უნდათ, დღეს დალიონ, უნდათ, ხვალისათვის შეინახონ. თვითონ იციან.

მინისტრი: გეთაყვა, ძალიან ნუ გამოიდებ თავს, მალე გვიპოვიან.

ოპერატორი: რომ ვერ გვიპოვონ? აგვისტოს ბოლოა. მთაზე თოვლიც არა დევს, რომ ჩვენი დანახვა გაუადვილდეთ, ჩვენ თაღარიგი დავიჭიროთ. როგორც იტყვიან, „ჩვენი ვირი მაგარ მარგილზე მივაბათ“.

(მრჩეველი შეამჩნევს, რომ კორესპონდენტს ჩასძინებია)

მრჩეველი: (ოპერატორს) დასძინებია.

ოპერატორი: აბა, რა იქნება. გუშინდლიდან უძინარია, თანაც ძილის წამალი მივეცი. ნეტავ, ტეტანუსი არ დაემართოს და...

მინისტრი: ოპ, არა, გეთაყვა.

ოპერატორი: ღრმა ჭრილობაა. ნეტავ რას მიეჯახა. წავალ ვნახავ.

(ოპერატორი ვერტმფრენისაკენ მიდის, მინისტრი ანიშნებს მცველს და ისიც გაპყვება. მმართველი კოცონს ფიჩხს უმატებს. მრჩეველი გაბუტული ზის. უცებ ვერტმფრენის ფარები ინთება. იქაურობა დღესავით ნათდება. ოპერატორი და მცველი მოდიან)

მმართველი: კარგი ქნეს, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: ყოჩაღ!

ოპერატორი: ხან სად ვუჩხიკინეთ, ხან სად და ჩაირთო. ძალიან ცუდი რაღაცისათვის მიურტყამს ზურგი. მეშინია, არ გაურთულდეს.

მრჩეველი: აქ შესცივდება.

მინისტრი: ვერტმფრენში დაწვეს.

ოპერატორი: იქნებ ის მკვდარი მფრინავი გამოგვეყვანა, მაგას მაინც არ შესცივდება.

(ოპერატორი და მცველი ვერტმფრენში ბრუნდებიან)

მართველი: თქვენ გიპოვნიან, ბ-ნო მინისტრო, უბრალო ადამიანი ხომ არა ხართ? ალბათ, უკვე ფეხზე დგას მთელი ქვეყანა.

(სიჩუმე, ოპერატორსა და მცველს მფრინავის ცხედარი ჩამოაქვთ ვერტმფრენიდან)

მინისტრი: (მმართველს) ადექი, მიეხმარე.

მართველი: როგორც მიბრძანებთ, ბ-ნო მინისტრო (გარბის, მაგრამ მაშინვე უკან ბრუნდება) მე დისკოზი მაქვს, ბ-ნო მინისტრო.

(ოპერატორი და მცველი მფრინავს ვერტმფრენის უკან აწვენენ და დანარჩენებს უერთდებიან)

ოპერატორი: (კორესპონდენტს) აბა, ადექი, ადექი, შეგცივდება.

კორესპონდენტი: (ძლივს იღვიძებს, გაოგნებულია) რა მოხდა?

ოპერატორი: სიყვარული გრძელდება (ისე წარმოთქვამს, თითქოს, პიესის, ან ფილმის სახელწოდება იყოს) სიყვარული მთაზე, ფრთებდალეჭილი სიყვარული...

მინისტრი: სცივა, დააწვინე და მერე ილაპარაკე.

ოპერატორი: ვერტმფრენში დაგაწვენ.

მართველი: გტკივათ?

კორესპონდენტი: მტეხავს. ვერ ვმოძრაობ.

(ოპერატორი მხარში შეუდგება კორესპონდენტს და ვერტმფრენისაკენ მიჰყავს)

მრჩეველი: ღამე მშვიდობისა!

მინისტრი: ღმერთი შეგეწევა, შვილო!

კორესპონდენტი: (ვერტმფრენის კარებში) ვერა, ვერა, იქ ვერ დავწეხი!

ოპერატორი: მფრინავის ცხედარი გამოვიტანეთ. აგერ ნახე, საცოდავს ფეხები უჩანს.

(ვერტმფრენში შედიან).

მართველი: ბ-ნო მინისტრო, იმ კაცს არაფერი აფარია.

მინისტრი: რომელ კაცს? გამოცანებით ნუ ღაპარაკობ!

მართველი: მფრინავს.

მინისტრი: ნუ გეშინია, არ შესცივდება.

მართველი: კი მაგრამ, ნადირი...

მინისტრი: რას სულელობ! გინდა თქვა, რომ შეჭამენ?

მართველი: ალბათ.

მინისტრი: (მცველს) შენ რას იტყვი?

მცველი: ვერტმფრენში გაზეთებია. თუ მიბრძანებთ, გამოვიტან და დავარებ.

მინისტრი: მერე ეგ საქმეა? ეს კაცი ავარიაში მოკვდა, რომ გაზეთს აფარებ? (დაფიქრდება) თუმცა, შეიძლება ითქვას, ავარიაში მოკვდა. (მაინც) ვერა ხედავ, ქარია. გაზეთს რა გააჩერებს? ნახეთ, რა ხალხთან ვმუშაობ, ნახეთ! მეც კი თავვზა ამიბნიეს.

(ოპერატორს მოაქვს ერთი ბოთლი ვისკი, სინით ჭიქები, ქაღალდის თეფ-
შები და საუზმეული)

ოპერატორი: ნახეთ რა ვიპოვე. არ დამივიწყოთ ეს დიდებული სამსახუ-
რი. ვისკიც კი გვაქვს. გაციებასაც აგვაშორებს ეს დალოცვილი! (**მცველი**) მო-
მებმარე. აიღე ეს მშრალი საუზმეული და დააწყო თეფშზე. (**მცველი საუზმე-
ულს ალაგებს თეფშებზე**) ინებეთ! (**ჭიქებში ვისკის ასხამს და ჩამოურიგებს მი-
ნისტრს, მრჩეველსა და მმართველს, მცველსაც მიაწვდის**) შენც აიღე!

მცველი: ბატონი მინისტრის თანდასწრებით...

ოპერატორი: მოეშვი ბ-ნ მინისტრს!

მცველი: უხერხულია, ვერ დავლევ.

ოპერატორი: რა უხერხულია, თვითონაც იგივეს არ სჩადის? აიღე, რომ
გეუბნები!

მცველი: არ შეიძლება.

ოპერატორი: ბ-ნო მინისტრი, უთხარით, დალიოს, თორემ სიცივით
მოკვდება.

მინისტრი: დალიე, შვილო, დალიე.

ოპერატორი: მოსაფსმელად წასვლა რომ უნდათ, მაშინაც თქვენ გეკით-
ხებიან?

მინისტრი: კარგად გამახსენე! ერთი საათია ვითმენ. (**მცველი**) წამომყევი
(მინისტრი და მცველი გადიან. მცველი ჯიბიდან ხელის ფარანს იღებს, ანა-
თებს).

მინისტრი: ეგ საიდან გაჩნდა?

მცველი: ვერტმფრენში ვიპოვე, ბ-ნო მინისტრო.

(თვალს ეფარებიან)

ოპერატორი: მოდი, ჩვენ გაგვიმარჯოს!

მმართველი: (**ჯდება**) დაველოდოთ, თორემ შხამად ამოგვადენს.

ოპერატორი: მართლაც, ძნელია თქვენი ყოფა, იცით, რას მეუბნება ეშ-
მაკი? აიღე კამერა, მიჰყევი იმათ, გადაუღე ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმა-
ყოფილების დროს და მიჰყიდე ოპოზიციურ კერძო ტელევიზიასო.

მრჩეველი: საწყალ გოგონას რომ რამე მოუვიდეს, არ ვაპატიებ ამ კაცს!

მმართველი: ჩვენ რა შეგვიძლია, ბ-ნო მრჩეველო?

მრჩეველი: ნუ იტყვით, ძალიან ბევრი რომ შეგვიძლია. ჩემი სამსახუ-
რიდან რასაც ველოდი, არაფერი გამოვიდა. მმრჩევლის გარდა რა შეიძლება
ვიყო. ამასობაში საპენსიოც გავხდი. პრესას განვუცხადებ და გათავდება. ჩემი
ღირსების შეურაცხყოფის ნებას არავის მივცემ. ჩემს სიცოცხლეში რამდენი
მინისტრი გამომიცვლია? ჩვენს სამინისტროს რა ესაქმებოდა სადღაც მომხდარ
მიწისძვრასთან? თანაც უცხოელი სპეციალისტები ჩამოსულან, ხვალ თათბირია
დანიშნული? იცით, რამდენი თვის წინ დაიგევმა ის თათბირი?

მმართველი: (**შეწუხებული**) მოდის, ბ-ნო მრჩეველო, მოდის, კიდევ გა-
ვანერვიულოთ?

(მინისტრი შემოდის, უკან მცველი მოჰყვება, მმართველი ფეხზე წამოდგება.
მრჩეველი ისედაც ფეხზე დგას)

მმართველი: მორჩით, ბ-ნო მინისტრო?

მინისტრი: რას მოფრი, კაცო?

მმართველი: ისა, რა?.. ჰქენით?

მინისტრი: ოღონდ რამე თქვა და, რას ამბობ, აღარ ფიქრობ. რამდენჯერ
უნდა გითხრა, უაზროდ ნუ ლაპარაკობ-მეოქი. იშოვა სალაპარაკო!

მამართველი: კრინტს აღარ დავძრავ, ბ-ნო გინისტრო.

მინისტრი: ნახეთ, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. როცა
საჭირო იქნება, უნდა იღაპარაკო, ადამიანო!

მამართველი: როგორც მიბრძანებთ, ბ-ნო მინისტრო!

ოპერატორი: მოდით, აბა, გაგვიმარჯოს!

მამართველი: გაგიმარჯოთ, ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: ყველას გაგიმარჯოთ!

მრჩეველი: (უგულოდ) გაგვიმარჯოს!

(თუმცა მინისტრმა ნება დართო, მცველი მაინც ფარულად სვამს. სხვებიც
სვამენ. ხმელ ხილსაც იღებენ)

მინისტრი: ოოჳ, კარგი იყო!

ოპერატორი: ისე, სჯობდა არაყი ყოფილიყო, თანაც ზედ ერთი-ორი
ქორჭილაც მოგვნათლავდა. ცეცხლი აგერაა, შევწვავდი და მოგართმევდით.

მრჩეველი: ჩვენი მომავალი ჩამოვარდნის სადღეგრძელო იყოს!

ოპერატორი: მომავალში ასე მოუმზადებლად არ წამოვალთ, წინასწარ
მივიღებთ ზომებს, არა, ბ-ნო მინისტრო?

მინისტრი: დარწმუნებული ვარ, ჩვენი ძებნა დაწყებულია.

ოპერატორი: ბ-ნო მინისტრო, შინაგან საქმეთა მინისტრთან კარგი
ურთიერთობა გაქვთ?

მინისტრი: რატომ მეკითხები?

ოპერატორი: თუ ცუდი ურთიერთობა გაქვთ, არ გიპოვნიან და ჩვენც
თუმციმონ ერთად...

(მინისტრს ხუმრობა არ შოსწონს, მაგრამ მაინც იცინის)

ოპერატორი: ავადმყოფს დავხედავ და მოვალ.

(ოპერატორი იღებს საექიმო ჩანთას და ვერტმფრენში შედის).

მინისტრი: რა აბეზარი ყმაწვილია.

მცველი: ბაღლინჯოა, ბ-ნო მინისტრო და მეტი არაფერი! ცოტაც და,
გავლახავდი, ბახაბუხი რომ ატეხა.

მინისტრი: მაგრამ ნახე, როგორ უმუშავებს თავი! შვილო, შენ როდის
დაჭკვიანდები? აბა, მე მიყურე! როდისმე ვბრაზდები? ეს მეტიჩარა კი ტე-
ლევიზიის ცნობილი ოპერატორია. საჭირო კაცია. გაიგე?

მცველი: მაინც ძალიან აბეზარი ვინმეა, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: პირიქით, ძალიან სიმპათიურია. მისი აბეზრობა არ უნდა და-
ინახო, რადგან საქმეს ასე სჭირდება, ახლა შენ რომ ეს გაუხედნავი სახედარი
გალაზო, მერე ტელევიზიას დაემშვიდობე, აღარ გამოგვაჩენენ. ვითომ (მმართ-
ველს) მართლა გვაგვიანდება? იცი, რა მოვიფიქრე? ვითომ ვერტმფრენი ახლა-
ხან ჩამოვარდა, გაიგე? ვერ გაიგე, კაცო?

მამართველი: გავიგე, ბ-ნო მინისტრო, მაგრამ...

მინისტრი: ვერტმფრენიდან ჩვენი გამოქცევა, მიწაზე ხოხვა ისედაც ხომ
დააფიქსირა ამ თავხედმა? ახლა თავიდან წარმოვიდგინოთ მიზანსცენა და ჩვენი
აზრებიც გავაცნოთ ყველას. გაიგე?

მამართველი: ახლა გავიგე, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: გაჩუმდი. მოდის. ვითომ მე არაფერი ვიცი.

მამართველი: გავიგე.

მინისტრი: (ვითომ სხვა თემაზე საუბრობდნენ). სანერვიულო არაფერია.
უცხოელი სტუმრები ერთი თვე აქ უნდა დარჩნენ. თათბირის ჩასატარებელ დრო-
საც გამოვნახავთ.

ოპერატორი: (მრჩეველს) ვითომ გადავრჩით და საქმე თათბირზე მიღვა?

მინისტრი: ჩვენი ავადმყოფი როგორ არის?

ოპერატორი: წუხს, სიცხემაც აუწია.

მინისტრი: გაუვლის.

ოპერატორი: უკვე მეშინია. ღმერთმა ქნას, არაფერი მოხდეს. ისედაც მძიმე პერიოდი უდგას.

მინისტრი: რა მოხდა?

ოპერატორი: ერთი კვირის წინ დაშორდა იმ კაცს, ვისთანაც ცხოვრობდა. ძალიან განიცდიდა. იქნებ ცოტა გულს გადააყოლოსო და, ამ დავალებაზე გამოგზავნეს. მეც თან გამომაყოლეს.

მინისტრი: გულის გადასაყოლებლად მიწისძვრის რაიონში გაგზავნა დიდი ვერაფერი ჭკუაა.

ოპერატორი: (გადაკრული ხუმრობა) რატომ? ძალიანაც კარგია. ერთი თვის წინ მეც რაღაც ნაღველი შემომაწვა და ინფორმაციის განყოფილების გამგებ გულის გადასაყოლებლად ახლო აღმოსავლეთში, ისეთ ქალაქში გამიშვა, დილიდან დაღამებამდე რომ იბომბებოდა. ერთი კვირა დავრჩი და მართლაც კარგ ხასიათზე დავბრუნდი, მიხაროდა, რომ არაფერი დამშავებია და, რაც მთავარია, ცოცხალი ვარ.

(მინისტრი, მრჩეველი, მმართველი იცინიან. მცველიც, ვითომ ხუმრობა გაიგო, მორიდებულად იღიმება)

მინისტრი: ამის გამო დალევაც შეიძლება. აბა, გაგვიმარჯოს!

ერთხმად: გაგვიმარჯოს. თქვენ გაგიმარჯოთ, ბ-ნო მინისტრო!

ოპერატორი: თქვენი ჭიქა მომაწოდეთ, ბ-ნო მინისტრო. როგორ ხასიათზე ხართ, მეგობრებო?

მმართველი: ძალიან კარგზე.

ოპერატორი: მრჩეველი ჩუმად არის. ვისკი მოვიტანე, ვიფიქრე, ცოტათი გავმხიარულდებით-მეთქი. თუ არ გინდათ, ნუღარ დავლევთ.

მრჩეველი: ჩემს ქალიშვილს ზეიმი აქვს.

ოპერატორი: რა ზეიმი?

მრჩეველი: მხატვართა საერთაშორისო კონკურსში მეორე ადგილი დაკავა. პრიზი მიიღო. ამის აღსანიშნავი ზეიმი აქვს.

ოპერატორი: თქვენი შვილი რას საქმიანობს?

მრჩეველი: სტუდენტია. ინგლისურ ენასა და ლიტერატურას სწავლობს. ბოლო კურსზეა. ხატავს კიდეც (ეტყობა, ეაშაგება შვილი) საკმაოდ ნიჭიერია. (ამ დროს მინისტრი სხვებისაგან შეუმჩნევლად ანიშნებს მმართველს, ოპერატორს უთხარი, გადაიღოსო და დგება)

მინისტრი: (მცველს) წამოდი, ცოტა გავიაროთ.

მმართველი: მეც წამოვიდე, ბ-ნო მინისტრო?

მინისტრი: (ანიშნებს, სულელი ხარო) არა. არა.

(მინისტრი და მცველი მიდიან)

ოპერატორი: გაიარეთ, ბ-ნო მინისტრო. გაიარეთ და რომ მობრუნდებით, კარგ ხასიათზე იქნებით. არ იმჩნევს, თორემ მაგასაც გაუფუჭდა ხასიათი.

მრჩეველი: არც კი მომიღოცა.

მმართველი: არ იცით მაგის ხასიათი, ბ-ნო მრჩეველო? ახლა თქვენზე ნაწყენია, მაგრამ რომ მობრუნდება, გული მომბალი ექნება.

მრჩეველი: არა მკონია.

ოპერატორი: კიდევ გფავთ შვილები, ბ-ნო მრჩეველო?

მრჩეველი: ვაჟი ამერიკაშია. ასპირანტურაში სწავლობს. ეკონომისტია.

ოპერატორი: შვილებში ბედი გქონიათ.

მრჩეველი: ეგრეა, მაგრამ ძალიან მიჭირს. ეხუმრებით, შვილს საზღვარ-გარეთ ასწავლოთ? ისიც ამერიკაში? სტიპენდიათ წავიდა. ჩვენ მხოლოდ ჯიბის ფულს ვუგზავნით.

ოპერატორი: (მრჩეველს ვისკის უსხაშს) კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს საქმე?

მრჩეველი: გაისად დაამთავრებს.

ოპერატორი: კუდთან მისულხართ და ეგ არის! თქვენ, ბ-ნო მმართველო, წვრილშვილი გყავთ?

მმართველი: მეც თრი მყავს, გოგო და ბიჭი. მაგრამ ჩემები ჯერ ლიცეუმში არიან. გოგო წელს დაამთავრებს, ბიჭი – გაისად.

ოპერატორი: მთავარი სიძნელეები მაშინ დაიწყება.

მმართველი: რას ვიზამ!

მრჩეველი: თქვენ, ყმაწვილო?

ოპერატორი: მარტო ვცხოვრობ. უფრო სწორად, ეს თრი თვეა. მეგობარი ქალი მყავდა, მაგრამ ერთმანეთს ვერ გავუგეთ და დავცილდით.

მრჩეველი: თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით რატომ დასცილდით?

ოპერატორი: (შეეტყო, რომ არ ესიამოვნა, მაგრამ თავი შეიკავა) ორივეს ზოდიაქო ვერძია. ჩემი მართვა სცადა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მრჩეველი: ისეთი ზოდიაქოს ნიშნიანი უნდა გეპოვნათ, რომელსაც გაუგებდით.

ოპერატორი: ყველაზე მეტად ლომს ვეგუები.

მმართველი: მაგრამ ბოლოს ლომი ხომ შეჭამს ვერძს? მეც რაღაც გამეგება ამ საქმეში.

ოპერატორი: ჩემი ლომები პატარა ბოკვერები არიან, ამიტომ მე შევახრამუნებ ხოლმე. (ყველანი იცინიან). ტყუპებსაც ვეგუები, გაჭირვებით – ქალწულსაც. მერწყულიც დამავიწყდა, მგონი. მოკლედ, ვერძის გარდა ყველას ვუგებ. ყველას სხვადასხვანაირი სხეული და სუნი აქვს... (მკერდზე შეივლებს ხელს). მოდი ახლა და ამ მთაზე კენჭივით დაეგდე...

(მინისტრი შორიდან ანიშნებს მმართველს: „არ უთხარი?“ მმართველიც ანიშნებს, ახლავე ვატყვიო)

მმართველი: თუ შეიძლება, ყური მიგდეთ.

მრჩეველი: (ქალებზე საუბრით გამხიარულებული): ვინ იცის, ახლა რომელ ქალზე ფიქრობს.

ოპერატორი: ოოჰ, მიბრძანეთ, ბ-ნო მმართველო.

მრჩეველი: როგორ გეკადრება... იძულებითი დაფრენისას რაღაც რაღაცები რომ გაღაიღე, რატომ აღარ იღებ?

ოპერატორი: კორესპონდენტს რომ ლაპარაკი შეეძლოს, მართლაც კარგ რამეებს მოვიფიქრებდით.

მმართველი: ვეთაყვა, თავად დასვი კითხვები, გადაიღე და მერე ვერ დაურთავ კორესპონდენტის ხმას?

ოპერატორი: ეს მინისტრის აზრია, არა? განზრახ მოგვშორდა, რომ შენი თეზისი კარგად ჩამოგეყალიბებინა? არა, არა, ნუ აღელდები. ეს მეც ხელს მაძლევს. მიდი, მინისტრს დაუძახე!

(ვიდრე ოპერატორი გადასაღებად ემზადება, მმართველი მიდის მინისტრთან, რომელიც ვერტმფრენის გვერდით დგას).

მართველი: (ჩუმად) არის, ბ-ნო მინისტრო, ვუთხარი.

მინისტრი: (ისიც ჩუმად) ყოჩალ!

მართველი: (ხმამაღლა) ბ-ნო მინისტრო, თუ შეიძლება მობრძანდით, გადაღება უნდა.

მინისტრი: რა გადაღება, კაცო?!

ოპერატორი: (უყვირის) თქვენგან ინტერვიუს აღება მინდა, ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: (თავპატიჟით) ამის დროა?

ოპერატორი: თქვენი ნებაა. (მმართველს) ხომ ხედავ? მე რა ვქნა?

მინისტრი: (სწრაფად უახლოვდება ოპერატორს): ვიხუმრე, კაცო! შენ გონიერი ახალგაზრდა ხარ, მეგონა ხუმრობას გამიგებდი. დროის მეტი რა გვაქვს?

ოპერატორი: დიახ, გონიერი ვარ, მაგრამ თქვენც გონიერი ბრძანდებით, ბ-ნო მინისტრო. მოკლედ, ერთი თოკისა და ორი ჯამბაზის ამბავია. ახლა თქვენ ისე დადექით, რომ ვერტმფრენიც გამოჩნდეს. კორესპონდენტი არ არის, ამიტომ კითხვებს მე დაგისვამთ. მერე რაღაცას მოვახერხებთ — მზადა ხართ?

(ამასობაში მმართველი მინისტრს პალსტუხს უსწორებს, მხრებზე ხელს უსვამს)

მინისტრი: დიახ... (მმართველს) გადი, კაცო, ფეხებში ნუ მედები!

მართველი: ბარემ ესეც ამეღო.

მინისტრი: შენც ვითომ აკეთებ რამეს!

მართველი: როგორც მიბრძანებ, ბ-ნო მინისტრო.

(მმართველი გვერდზე გადგება)

მინისტრი: (სიცილით პოზას იჭერს) ასე კარგია?

ოპერატორი: (ობიექტივში იყურება) ჩარჩო კარგია. ოოჭ, ეს რა არის, ბ-ნო მინისტრო, იღიმებით? (ფილმის რეჟისორივით აცნობს როლს) ვერტმფრენში დაჭრილი გვიწევს, ვარეთ — მიცვალებული, ვერტმფრენს მძიმე დაფრენა ჰქონდა, უმჯობესი არ იქნება, თუ მწუხარე გამომეტყველებას მიიღებთ?

მინისტრი: დარდი ნუ გაქვთ, გადაღებას რომ დაიწყებთ, რაც საჭიროა, ეველაფერს გავაკეთებ, (მწუხარე გამომეტყველებას იღებს) ასე კარგია?

ოპერატორი: ძალიან კარგია. არ შეცვალოთ. ასეთი გამომეტყველება გქონდეთ ინტერვიუს ბოლომდე.

მინისტრი: კარგი, ახალგაზრდავ, შენ მშვიდად იყავი.

ოპერატორი: (ხელით ანიშნებს, რომ გადაღება დაიწყო, თან იღებს) პატივცემულო მაყურებელო, ჩვენ ვიმყოფებით მთის წვერზე, სადაც იძულებით დაფრინდა ვერტმფრენი. მთის წვერი პატარა მოედანია, თითქოს საგანგებოდ იმისათვის მოსწორებული, რომ ჩვენ დაფრენა მოვეხერხებინა. როგორც ხელავთ, ჩვენმა ვერტმფრენმა შეძლო, ისე დაშვებულიყო, რომ არ შეჯახებოდა კლდეებს, რომლებიც მოედნის კიდესთან იწყება. მწუხარებით გაუწყებთ, რომ დაგვეღუპა მფრინავი, რომელმაც ასეთი ბრწყინვალე დაფრენა განახორციელა. ვერტმფრენის ექვსი მგზავრიდან ერთ-ერთი ყველასათვის ცნობილი ზღვაოსნობის მინისტრია. ვთხოვთ, გვითხრას ორიოდე სიტყვა. ბ-ნო მინისტრო, ამ ამბავთან დაკავშირებით რას ეტყოდით მაყურებელს?

მინისტრი: (მწუხარე გამომეტყველებით): თავდაპირველად მინდა მოგახსენოთ, რომ უსასრულოა ჩემი მწუხარება პატივცემული მფრინავის... (თითქო შირილს ძლივს იკავებს) დაღუპვის გამო. ძალიან, ძალიან ღრმა ჭრილობა ქომაყენა... (ვითომ ნებისყოფის დაძაბვით ტირილი შეიკავა და განაგრძო) ბა-

ტონო ჩემო, ახლა თავიდან დაწყება რომ გახდეს საჭირო (ვითომ ისევ ტირილი უსწრებს) ალბათ გამიგებთ, მფრინავის თავგანწირვამ მე...

ოპერატორი: პატივცემულო ტელემაყურებლებო, როგორც ხედავთ, ბ-ნი მინისტრი ჯერ კიდევ შოკშია. გთხოვთ, ბ-ნო მინისტრო, ასე ნუ განიცდით.

(ოპერატორი გადაღებას განაგრძობს, თან ცერა თითს ზევით სწევს და კამერის უკან ძღვომთ ანიშნებს, მინისტრი ძალიან კარგია)

მინისტრი: (ვითომ მოახერხა თავის შეკავება) ბატონო, თავიდან მოვყვეთ, რაც მოხდა. მე, ჩემს მრჩეველსა და კანცელარიის გამგესთან ერთად რაიონში ვიყავი, სადაც თათბირი გვქონდა. ის იყო დავასრულეთ თათბირი, რომ სააგენტოებმა მიწისძვრის ამბავი გაავრცელეს. მიწისძვრის რაიონიდან სამი საათის სავალზე ვიყავით. მოვალეობის გრძნობამ მიკარნახა, მაშინვე შემეკრიბა ამხანაგები და, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, დავხმარებოდით უბედურებაში ჩავარდნილ თანამემამულებებს. როდესაც სამსახურის მანქანით გზას დავადექით, ჩვენთან მოვიდა რაიონის მმართველი და გვითხრა, ერთ-ერთი ტელეკომპანიის კორესპონდენტი და ოპერატორი ვერტმფრენით მიღიან და შეგიძლიათ იმათ და-ემგზავროთო.

(მრჩეველი და მმართველი ერთმანეთს ანიშნებენ, ნახე, მინისტრი თავის სასარგებლოდ რაებს იგონებსო)

მინისტრი: სათადარიგო მფრინავს ელოდებოდნენ. ამ დროს ყოველი წუთი ძვირფასია. საჭირო იყო, რაც შეიძლებოდა მალე მიგვეღწია თანამემა-მულებთან, ვინ იცის, რამდენი კაცი დაიღუპა, რამდენი დასახიჩრდა, რამდენი იტანჯებოდა შენობების ნანგრევებში? სასწრაფოდ უნდა მიგვეღო გადაწყვეტილება. რადგანაც პრემიერმინისტრი საზღვარგარეთ იყო, მინისტრთა კაბინეტი კი – დედაქალაქში, სხვა მინისტრების ჩამოსვლას დიდი დრო დასჭირდებოდა, ამიტომ სათადარიგო მფრინავისათვისაც არ დამიცდია, და ვერტმფრენის აფრენა ვბრძანე. სიცოცხლეს რომ საფრთხეში ვიგდებდი, ამაზე არც დავფიქრებულვარ. თავიდან თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ უცებ შევამჩნიე, რომ მფრინავი აღელდა, ვერტმფრენის დასმას ცდილობდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეძლო რთული დაფრენა (დიდი მწუხარება ეხატება სახეზე). ვფიქრობ, გულის შეტევა დაემართა (და საოცრება! მინისტრმა ტირილი დაიწყო). როცა დავფრინდით, კარი გაგვიღო და სათითაოდ გამოგვიყვანა... თან ამბობდა: ჩქარა, შეიძლება აფეთქდესო! (მინისტრს უკვე ნიაღვრად მოსდის ცრემლი, თან გულში ხელს იციმს) ჩვენ გადაგვარჩინა, თვითონ კი საუკუნო სასუფეველში გადავიდა.

ოპერატორი: პატივცემულო ტელემაყურებლებო, ნუღარ შევაწუხებთ ბ-ნ მინისტრს, ისედაც ბევრი გადაიტანა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ დარჩენილი ვართ ამ მთაზე და არანაირი კავშირი არ გაგვაჩნია... ველოდებით, როდის მოვლენ ჩვენ საშველად. ახლა 21 საათია. მე ვარ ზამა ზინგი ქთლ-1. ჰიმალაი-ევერესტი. (წყვეტს გადაღებას)

მინისტრი: როგორი ვიყავი, პა?

ოპერატორი: ქვეყანაზე ბევრი მინისტრი მინახავს, პრემიერ-მინისტრიც მინახავს, მაგრამ გეფიცებით, თქვენისთანა არავინ შემხვედრია, ბ-ნო მინისტრო,

მინისტრი: გმაღლობთ. (მმართველს) შენ რას ფიქრობ?

მმართველი: ძალიან შთამბეჭდავი იყავით, ბ-ნო მინისტრო, წარმოუდგენლად უნაკლო იყო. სუპერი იყავით.

ოპერატორი: ღმერთმანი, არ ვხუმრობ. მართლაც გამაოცეთ. ის ნიაღვარივით ცრემლი რაღა იყო? მაინც როგორ მოახერხეთ, ასე ატირებულიყავით?

მინისტრი: გმაწვილო, იცით, რას გეტყვით? მე მამა ავტოკატასტროფაში

დავკარგე. საბრალოს დიდი სიჩქარით მიმავალი სატვირთო მანქანა დაუჯახა და სამად გაგლიჯა. საკმარისია იმ ამბის გახსენება, რომ ავტირდე. ასე რომ, ხახვი საჭირო არ არის...

ოპერატორი: საოცარი ადამიანი ხართ, ბ-ნო მინისტრო, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე. (მმართველს) თქვენთანაც ვისაუბრებ, მაგრამ ჯერ გადავწყვიტოთ, რაზე უნდა ვიღაპარაკოთ.

მინისტრი: (ოპერატორთან მიღის ჩუმად) ესენი რაღა საჭირონი არიან? მე საკმარისი არა ვარ?

ოპერატორი: პროგრამას სჭირდება მრავალფეროვნებისთვის. კორესპონდენტსაც დავულაპარაკები, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: საკუთარ თავსაც დაელაპარაკეთ.

ოპერატორი: ინტერვიუს გადაცემამდე სტუდიაში ჩემთან და კორესპონდენტთან ცალკე ისაუბრებენ. (ხერიოზულად) თქვენ თეატრში ან სადღაც მისთანაში ხომ არ გითამაშიათ? მსახიობობასთან დაკავშირებული საქმიანობა ან განათლება გქონიათ?

მინისტრი: არა, ჩემო კარგო, ეს უნარი თანდაყოლილია. მაგრამ ისა... ნახე, დამავიწყდა... ჩემს ავტოკატასტროფაში დაღუპულ მამას მოყვარულთა თეატრში უთამაშია.

ოპერატორი: სხვა მამაც გყავთ?

მინისტრი: არა, ერთი მამა მყავდა. რატომ მკითხე?

ოპერატორი: ავტოკატასტროფაში დაღუპული მამაო, რომ ბრძანეთ, ვიფიქრე, იქნებ ავტოკატასტროფაში დაუღუპავი მამებიც გყავთ-მეთქი. ისე, რაც მართალი მართალია, უბადლო ნიჭის პატრონი ბრძანდებით.

მინისტრი: ღმერთმა დასწევლოს! ვერ მივაღწიეთ იქამდე, თორემ თქვენ მიწისძვრის რაიონში უნდა გენახეთ.

ოპერატორი: ვინ იცის, იქნებ მალე გვიპოვონ და კიდევაც მოვასწროთ იქამდე მისვლა.

მინისტრი: რაღა აზრი აქვს? ყველა მინისტრი იქ იქნება.

(მინისტრი და მცველი მიღიან, ეტყობათ, ტუალეტი სჭირდებათ).

ოპერატორი: კიდევ მოსაფსმელად მიღის?

მამართველი: შაქარი აქვს.

ოპერატორი: ბ-ნო მრჩეველო, შეგიძლიათ დაიწყოთ! (გადაღებას იწყებს). ბ-ნო მრჩეველო, მოკლედ გვიამბეთ, თუ შეიძლება, როგორ გაიგეთ, რომ მფრინავი მოკვდა?

მრჩეველი: რომ მივურინავდით, მაშინ შევამჩნიე, რომ მფრინავი ცუდად იყო. მაგრამ პანიკას მოვერიდე და არაფერი ვთქვი. ღმერთმა აცხონოს, ძალიან ჰატივსაცემი კაცი იყო. რთული დაფრენის შემდეგ სათითაოდ გამოვიყვანა... ეს ყოველგვარ შეფასებას სცილდება. დაფრენის დროს ქალბატონი კორესპონდენტი რაღაცას მიეჯახა, ზურგი დაიზიანა და ესეც მიემატა ჩვენს შეშფოთებას. შეიძლება ნეკნიც კი პქონდეს გატეხილი. კიდევ კარგი, სხვებს არაფერი დაგვშავებია. ისევ აქა ვართ და იმედი გვაქვს, გვიპოვნიან.

ოპერატორი: მადლობას გიხდით, ბ-ნო მრჩეველო, ახლა კი საზღვაო სამინისტროს კანცელარიის მმართველს ვთხოვთ. მობრძანდით, ბ-ნო მმართველო.

მამართველი: ბ-ნმა მინისტრმა და ბ-ნმა მრჩეველმა დაწვრილებით ილაპარაკეს. დასამატებელი არაფერი მაქვს. ვისურვებდი, ადრე მოვიდნენ და გადაგვარჩინონ, გმადლობთ.

ოპერატორი: მადლობას მოგახსენებთ, ბ-ნო მმართველო (თან იღებს, თან მიღის მცველთან, რომელიც კერტმფრუნთან დგას და ელოდება მინისტრს, რომელიც არ ჩანს). ახლა ბ-ნი მინისტრის მცველისაგან ავიღოთ ინტერვიუ. ბ-ნო მცველო, რას გვეტყვით? ოჯახისათვის რაიმეს გადაცემა ხომ არ გინდათ?

მცველი: (დაიმორცხვებს) ჩამოვარდა... გადავრჩით... ღმერთმა გადმოვვხედა. ღმერთმა ჩვენს შვილებს გადაურჩინა ჩვენი თავი. მამა, კარგად ვართ, დედა, ჩემზე არ იდარდო; ხელებს გიკოცნით. ჩემს ცოლს მოკითხვას ვუთვლი, შვილებს თვალებს დავუკოცნი. ველოდებით, რომ ღვთის ნებით გვიპოვიან. ყველა ნათესავს, მეგობარს, ნაცნობს მოკითხვას ვუთვლი. უფროსებს ხელებს ვუკოცნი, უმცროსებს – თვალებს.

ოპერატორი: მორჩა (გადაღებას წყვეტს. მინისტრმა მცველის ბოლო სიტყვები გაიგონა)

მინისტრი: (ოპერატორს) ეს რა თქვა, კაცო?

ოპერატორი: სომალში გაგზავნილი თურქი ჯარისკაცის მიმართვა სამშობლოს.

მინისტრი: არ გითხარი, ესენი რა საჭირონი იყვნენ?

ოპერატორი: ფერს მატებს, თანაც ამათ გვერდით თქვენს ნათქვამს მეტი ღირებულება ექნება.

მინისტრი: თავი გიმუშავებს.

ოპერატორი: ბ-ნო მინისტრო, ჩვენ, კამერის უკან მდგომნი, ძალიან ბევრ რამეს ვხედავთ. ვერაფერს გამოგვაპარებთ. ვხედავთ, ვინ არის პატიოსანი, ვინ მატყუარა და გაიძვერა, ვინ – გმირი და ვინ – ლაჩარი. იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ მათ კვადრატში ვათავსებთ და ისე ვუყურებთ (მიწიდან ვისკის ბოთლის იღებს) ცოტალა დარჩენილა, ბარემ გამოვცალოთ (ყველას უსხამს. სვამს. ცარიელ ბოთლის მოიქნევს და შორს გადააგდებს).

(ბნელდება)

ოპერატორი: რა კარგი ღამეა.

მინისტრი: მართლაც.

ოპერატორი: წასვლა რომ შეგვეძლოს, უფრო კარგი იქნებოდა ეს ღამე. (ყველა ჩუმდება)

ოპერატორი: რა მოხდა, რა ცხვირები ჩამოუშვით?

მმართველი: ბავშვებს შეეშინდებათ.

ოპერატორი: რომელ ბავშვებს?

მმართველი: ჩემს ბავშვებს.

მინისტრი: ახლა მთელი ქვეყანა უკვე ჩვენზე ლაპარაკობს.

ოპერატორი: იქნებ ჯერაც არავინ არაფერი იცის?

მინისტრი: დიდი ხნის გაგებული ექნებათ ჩვენი დაკარგვა.

ოპერატორი: რომ გაეგოთ, მოგვძებნიდნენ, რაღაცნაირად გავიგებდით, რომ გვეძებენ. უფრო მოსალოდნელია, დილით დაგვიწყონ ძებნა. რისკი ნაკლები იქნება.

მრჩეველი: ვერაფერსაც ვერ ვეღირსებით. (ერთბაშად) მაინც აქ რა გვესაქმებოდა?

მინისტრი: (სხვა რაღაცის თქმას დაპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს) ზოგიერთები კიდევ ნერვებს მიშლიან.

მრჩეველი: ბავშვი ხომ არა ვარ, ასე არ გამოვა!

მინისტრი: დიახაც არ გამოვა, იმიტომ რომ, როგორც კი დავპრუნდებით, სამსახურიდან გაგავდებ. გაიგე? სამსახურიდან გაგავდებ.

ოკერატორი: ბ-ნო მინისტრო, თუ შეიძლება, ამაზე სხვა დროს იღაპა-რაკეთ. ამ შესანიშნავი ღამის სიჩუმეს მოვუსმინოთ.

(ყველა ჩუმდება. მინისტრი ჟუკმაყოფილო, რომ პატივმოყვარეობა ვერ დაიკმაყოფილა. მრჩეველი განიცდის, რომ მინისტრს საკადრისი პასუხი ვერ გასცა. თითქოს, რაღაც გადაწყვეტილებას იღებს. სიჩუმე გრძელდება. ერთბაშად ისმის ვერტმფრენის ხმა).

მინისტრი: ააა!

მაართველი: დიახ, ბ-ნო მინისტრო.

ოკერატორი: მგონი, გვიპოვეს.

მრჩეველი: იქნებ მართლა გვიპოვონ.

ოკერატორი: ჩუმდ!

(ყველა ფეხზე დგება. ნელა, უხმაუროდ. ვერტმფრენის ხმა ახლოვდება)

ოკერატორი: შეხედეთ, შეხედეთ, მოდის!

მაართველი: ავე.

ოკერატორი: ნახე, ნახე.

მინისტრი: იყვირეთ, ვიყვიროთ, აბა, ჰე!

მცველი: ჰეეე!

მაართველი: აქეთ, აქეთ!

მცველი: ჰეეე!

მრჩეველი: ნამდვილად გვიპოვიან!

(ყველანი ერთად ყვირიან. ხმაურზე კორესპონდენტიც იღვიძებს და ვერტ-მფრენიდან გამოდის)

ოკერატორი: ნახე, ხედავ?

მინისტრი: აი, იქ!

მაართველი: გვიპოვეს!

მცველი: მოდი, მოდი!

(ყველანი ყვირიან, ხტუნავენ გახარებულები, მაგრამ ერთბაშად იმედგადა-წურულები ჩერდებიან, რადგან ვერტმფრენმა ისე გადაიფრინა, არც კი შეუ-მჩნევია ისინი. უიმედოდ გააყოლებენ თვალს ვერტმფრენს. მისი ხმა თანდა-თან იკარგება, ცოტა ხანს ნაღვლიანად უყურებენ. შემდეგ იმედი თანდათან უქრებათ).

მინისტრი: შევალ, ცოტას დავისვენებ (მინისტრი ვერტმფრენში შედის, მცველიც მიჰყვება. სხვები ცეცხლთან რჩებიან. უცებ ვერტმფრენის ფარები ქრება).

ოკერატორი: მგონი, სასტუმროში შუქი გამოირთო.

(მოდის მცველი, იგი კითხვის გამომხატველ მზერას წააწყდება)

მცველი: მინისტრმა გამომართვევინა. აკუმულატორი არ დაჯდესო.

II მოქმედება

(მრჩეველი და მმართველი, ოპერატორი და კორესპონდენტი ცეცხლის გარ-შემო სხედან. მცველი ვერტმფრენს მიყრდნობილი თვლებს).

მრჩეველი: (მანამდე დაწერილ განცხადებას ხელახლა კითხულობს და ჩანთაში დებს. მცველზე უთითებს) სძინავს.

მაართველი: მეც მომერია ძილი.

მრჩეველი: გაცივდება. თუ არ შეწუხდები, უთხარი, შიგნით შევიდეს.

- მმართველი: (მცველის კენ მიღის) ალბათ უთხრა, გარეთ დამელოდეთ.
- ოპერატორი: უეჭველად ეტყოდა.
- მრჩეველი: შესაძლებელია.
- მმართველი: ადექი, შვილო, ადექი.
- მცველი: (შეშინებული) რა არის? მოხდა რამე?
- მმართველი: გძინავს.
- მცველი: ჩამთვლიმა.
- მმართველი: შედი, შიგნით დაიძინე.
- მცველი: რომ გაჯავრდეს?
- მრჩეველი: აქ გაცივდები, შედი, შვილო, მეც შემოვალ. (მმართველი)
შენც წამოხვალ?
- მმართველი: წამოვალ, აქ დარჩენა აღარ შემიძლია.
- მრჩეველი: (კორესპონდენტის) როგორ ხართ, შვილო?
- კორესპონდენტი: ისე მტკიცა, ვკვდები.
- მრჩეველი: აქ ჯდომას რა აზრი აქვს. გასაკეთებელი მაინც არაფერია. თუ
გინდათ, თქვენც დაწესეთ.
- ოპერატორი: რა დამაძინებს. (ცაჲე ანიშნებს) აქ დარჩენით, შეიძლება,
რამე მოვიგოთ.
- მრჩეველი: ახალგაზრდა ხართ, არ შეგცივდებათ. ჩვენ ვეცდებით ცოტა
წავიკითხოთ. ღამე მშვიდობისა.
- ოპერატორი: ღამე მშვიდობისა.
- კორესპონდენტი: ღამე მშვიდობისა.
- მცველი: ღამე მშვიდობისა, დაიკო.
- მმართველი: ღამე მშვიდობისა.
- (სამივენი ნელა შედიან ვერტმფრენში).
- ოპერატორი: ბედზე, დასალევი გვაქვს.
- კორესპონდენტი: კარგი იყო. თითქო ტკივილმა მიკლო.
- ოპერატორი: ერთ ჭიქას კიდევ დალევ?
- კორესპონდენტი: ამაღამ რატომლაც უარს ვერ ვამბობ.
(ოპერატორი ორ ჭიქაში სასმელს ასხამს).
- ოპერატორი: ჩვენი ჯანმრთელობისა იყოს.
- კორესპონდენტი: კარგად იყავი.
- ოპერატორი. რამდენი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნებთ?
- კორესპონდენტი: ერთი წელი გახდა. ტელევიზიაში მუშაობა რომ დაიწყე,
რამდენიმე დღის მერე გაგიცანი, მაგრამ რომ მკითხონ, რამდენი წელია იცნობო,
ალბათ ვუპასუხებ – ხუთი წელია-მეთქი.
- ოპერატორი: ნუთუ მართლა?
- კორესპონდენტი: მართლა.
- ოპერატორი: სად მნახე?
- კორესპონდენტი: ავტობუსში.
- ოპერატორი: როგორ თუ ავტობუსში? არ ხუმრობ? აბა, ერთი, მიამბე.
- კორესპონდენტი: მაშინ „ლიტერატურულ სამყაროში“ ვმუშაობდი.
ინტერვიუზე ავტობუსით დავდიოდი. იმ დღესაც დავალებაზე მივდიოდი. ავტო-
ბუსი გაჭედილი იყო. იცით, ალბათ ავტობუსში ზოგი მამაკაცი ქალს როგორ
აწუხებს.
- ოპერატორი: ღმერთმანი, მე არ ვაწუხებ.

პორმესაონდენტი: ჩემს უკან ერთი ცხოველი ქშენდა. ამაռდ ვცდილობდი ფანჯრისაკენ გაწევას. ამ დროს იდავვზე ხელი წამავლე და „აქეთ მოიწიეთო“ – მითხარი. შემდეგ მკლავები გაშალე და სივრცე მონილობე. ჩასვლისას მადლობა რომ გადაგიხადე, გაწითლდი.

ოპერატორი: (გაკვირვებული) მართლა?

პორმესაონდენტი: მართლა. იმ ხალხმრავლობაში რომ მიპატრონე, მფარველობა გამიწიე, ეს არის ლამაზი საქციელი. გასაგებად ვთქვა?

ოპერატორი: მესმის.

პორმესაონდენტი: ძალიან მტკივა ზურგი.

ოპერატორი: მხოლოდ თანავრძნობა შემიძლია.

(ცოტა ხანს ჩუმდებიან)

პორმესაონდენტი: დედაჩემს რევმატიზმი სჭირდა. ექიმმა ცხელი წყლის აბაზანები დაუნიშნა, ერთად წავედით წყლებზე. დილა-საღამოს ძალიან ცხელი წყლით სავსე აბაზანაში შედიოდა. ერთ დღეს მეც ძალისძალად შემიყვანეს ასეთ აბაზანაში. საშინლად ცხელ წყალში გაუნძრევლად ვიდექი, გაჭირვებით ვუძლებდი. ახლაც ზუსტად ისევე ვარ. თუ არ ვმოძრაობ, არ მტკივა, მაგრამ თუ გავინძერი...

ოპერატორი: შენც ნუ გაინძრევი.

პორმესაონდენტი: ამოსუნთქვაზეც კი გაუსაძლისად მტკივა.

ოპერატორი: არ ისუნთქო-მეთქი; ვერ გირჩევ.

(ოპერატორი თევზს ახლოს მიუდგამს, ქალი ძალიან ფაქიზად ჭამს)

პორმესაონდენტი: რა ახლოს არის ვარსკვლავები.

ოპერატორი: ღმერთთან საკმაოდ ახლოს ვართ. ცოტა რომ გვეყოჩადნა, შეგვეძლო რომელიმე ვარსკვლავზე დავმსხდარიყავით.

პორმესაონდენტი: მოიცა, სუ!

(ძალიან შორიდან ისმის თვითმფრინავის გუგუნი)

ოპერატორი: თვითმფრინავია.

პორმესაონდენტი: იყოს.

ოპერატორი: არა მგონია, თვითმფრინავით მოგვმებნონ. რამდენი წელი იყავით ერთად?

პორმესაონდენტი: ხუთი წელი შესრულდა. არ გავიკვირდა?

ოპერატორი: სამსახურში კვითხე ამხანაგებს. მითხრეს, რომ დიდი ხანი იყავით ერთად. მიამბე ამ სიყვარულის ამბავი. თუ არ შეწუხდები, მიამბე.

პორმესაონდენტი: რა არის შესაწუხებელი? ყველაფერი გათავდა. კარგა ხნის შემდეგ, ჩვენი გაცნობის დღეს გავწყვიტეთ ურთიერთობა. რასაკვირველია, დამთხვევაა, მაგრამ ასეა.

ოპერატორი: რატომ გაწყვიტეთ?

პორმესაონდენტი: იმიტომ რომ მიღალატა.

ოპერატორი: მიზეზი ეს იყო?

პორმესაონდენტი: ცოტაა? ყველაფერზე დავხუჭე თვალი. იმაზეც, ჩემზე ბევრად უფროსი რომ იყო, იმაზეც, ცოლშვილიანი რომ იყო, მაგრამ ღალატზე?..

ოპერატორი: იცი, ნაპოლეონმა რა თქვა?

(ხელს ნაპოლეონივით უბეში იდებს, მის პოზას ჰბაძავს)

მამაკაცებო, მამაკაცებო, რომელთაც გსურთ გახდეთ იმპოტენტები, იწექით სულ ერთსა და იმავე ქალთან.

პორმესაონდენტი: სიცალის თავი არა მაქვს.

ოპერატორი: მაშინ, იტირე, ჩემო კარგო, მაგ საქმეს ბევრი მამაკაცი აკეთებს. თანაც ძალიან კარგად აკეთებს, თუ ფანტაზიის უნარი განვითარებული აქვს, კარგი იქნებოდა, საერთოდ რომ არ შეგემჩნია.

კორესპონდენტი: არ შემეძლო. ვერ ვიტანდი, რომ დამტოვებდა და შინ წავიდოდა ხოლმე.

ოპერატორი: მაშინ არ უნდა წუხდე, გენაცვალე. ის არ არის, სხვა იქნება, წუხილი არ ღირს. გინდა, რაღაც გითხრა? იმ კაცს შენოვის არ უღალატია.

კორესპონდენტი: მიღალატა.

ოპერატორი: ძალიანაც კარგად იცი, დაცილების ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ ცოლშვილიანია. თუ დავმევობრდებით და ერთმანეთს ყველაფერს... (იცინის) ნახე, რა წამომცდა? თუ დავმევობრდებით-მეთქი, ე. ი. გამომჟღავნდა ჩემი დაფარული მიზანი. (სერიოზულად) ცხოვრებას მეტისმეტად სერიოზულად ნუ უყურებ. თუ ადამიანი ბედნიერია მეორე ადამიანთან ყოფნით, ყველა საშუალებით უნდა გაახანგრძლივოს ერთად ყოფნა.

კორესპონდენტი: ყველა საშუალებით?

ოპერატორი: დიახ, ყველა საშუალებით, მაგრამ თუ არ გამოდის, რა? იზამ? მე თავად ქორწინებიდან სამი წლის მერე გავეყარე ცოლს. რადგან ჩვენს ურთიერთობაში აღარავითარი აღფრთოვანება აღარ იყო. კაცი თავის კატასთან განშორებასაც კი განიცდის, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. უნდა გაგრძელდეს კიდეც.

კორესპონდენტი: (ყურს უგდებს) ხმაა?

ოპერატორი: (სხვანაირად უყურებს კორესპონდენტს) შენი ზოდიაქოს ნიშანი რა არის?

კორესპონდენტი: ჩემი?

ოპერატორი: სხვა ვინმე არის აქ?

კორესპონდენტი: (იცინის) ლომი.

(ოპერატორი იცინის)

კორესპონდენტი: რა გაცინებს?

ოპერატორი: არაფერი, რაღაც გამახსენდა.

კორესპონდენტი: მითხარი, გთხოვ.

ოპერატორი: ცუდი რაღაც გამახსენდა. თუ ვინდა, გეტყვი.

კორესპონდენტი: არა, არა!

ოპერატორი: რაკი ასე მთხოვ, გეტყვი.

(კორესპონდენტი ჭურებს ხელით იფარებს, მაგრამ ხელის აწევით გამოწვეული ტკივილისაგან სახე გვიღება)

კორესპონდენტი: მოტეხილობა არ უნდა იყოს, არა?

ოპერატორი: არა მგონია. მოტეხილობა რომ იყოს, კივილით შეძრავდი აქაურობას. სამძებრო ჯგუფს სიგნალი ეგონებოდა და გვიპოვნიდნენ.

(ვერტმფრენიდან მრჩეველი და მმართველი ჩამოდიან. მმართველს ტელეფონისმაგვარი ხელსაწყო უჭირავს)

ოპერატორი: ვერ დაიძინეთ, ბ-ნო მრჩეველო?

მრჩეველი: ძილი არ მეკარება.

მმართველი: ნახეთ, ეს რაღაც უცნაური რამ არის. მობილური ტელეფონი არ უნდა იყოს.

ოპერატორი: მომეცით, ვნახო, ბ-ნო უართვევლო. (მარო-ული ხელსაწყოს აწვდის. ოპერატორი ათვალიერებს)

ოპერატორი: სად იპოვეთ?

მართველი: იქ, მეორე მხარეს. თითქოს რაღაც განსაკუთრებული ადგილი იყო. ჯერ შემეშინდა, მაგრამ მერე ავიღე.

ოპერატორი: რაღაც სასიგნალო ხელსაწყო უნდა იყოს.

მრჩეველი: შეიძლება, მაგრამ მაინტ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ჩამრთველიც აქვს.

ოპერატორი: გინდათ, ეს ჩამრთველი ჩამოვწიო და ვერტმფრენი ჰაერში ავარდეს? ასე მგონია, ბ-ნ მრჩეველს უნდა...

მრჩეველი: არა, არც ეგრეა საქმე.

ოპერატორი: (ჩამრთველს ჩამოსწევს) ბაა!

(წითელი შუქი ინთება და ქრება. არავის შეშინებია)

ოპერატორი: გოგრის სუნი დააყენა, არა?

მართველი: ცოტათი.

ოპერატორი: მოკლედ, სიგნალს იძლევა.

მართველი: მაშინ, რატომ ხმა არა აქვს?

ოპერატორი: (ხელსაწყოს) ხმა ამოიღე, ხმა, ხმა!

(ოპერატორი ჩამრთველს ასწევს, შუქი ქრება)

მრჩეველი: რა სცადეთ?

ოპერატორი: არ ვიცი, მაგრამ ისევ ჩავრთავ. თუ მართლა სიგნალს იძლევა, გვეშველება და ის არის.

მრჩეველი: თუ არ იძლევა?

ოპერატორი: ერთი თანაკურსელი მყავდა. ღმერთი არ სწამდა, მაგრამ რელიგიურ წესებს იცავდა. „თუ საიქიო არსებობს, ამ წესების შესრულებისათვის სამოთხეში მოვხვდები. თუ არ არებობს, რას ვკარგავო“.

ჩვენც ახლა ეს ჩამრთველი ჩამოვწიოთ (ჩამოსწევს. წითელი შუქი ინთება-ქრება) თუ სიგნალი მიღის, მოვლენ და გადაგვარჩენენ.

მართველი: თუ არ მიღის?

ოპერატორი: თუ არ მიღის, ვერ გვიპოვიან და ხვალ დილით მინისტრისა და მცველის შეჭმა მოგვიწევს.

(კორესპონდენტი და მმართველი იღიმებიან)

ოპერატორი: თქვენ რატომ არ გელიმებათ, ბ-ნო მრჩეველო?

მრჩეველი: უკვე მასზე ლაპარაკსაც ვეღარ ვიტან.

(გველას ხელსაწყოზე უჭირავს თვალი. ერთბაშად ვერტმფრენის ფარები ინთება. გველა დაიძაბება. ვერტმფრენიდან მცველი ჩამოდის)

მცველი: ჩვენმა მინისტრმა გაიღვიძა.

ოპერატორი: მივხვდით.

მრჩეველი: რომ შეიძლებოდეს, მზესაც მოგვიტანდა ამ მთაზე.

მცველი: ახლა მოვა.

მრჩეველი: მოვა და მოვიდეს. ჩვენ რა ვქნათ?

მართველი: (წამოდგება) თქვენც ადექით, ბ-ნო მრჩეველო, კიდევ მოგვაყენებს უსიამოვნებას.

მრჩეველი: (რაღაც-რაღაცებს ბედავს). ვითომ არ ვიცი, რომ მოდის.

ოპერატორი: (დაბნეულია) თავი მოიმძინარეთ.

მრჩეველი: დამიჯერეთ, ვეღარ ვუძლებ.

ოპერატორი: ცუდად არის თქვენი საქმე.

(მინისტრი ვერტმფრენიდან გამოდის. მცველი ფეხზე დგას. მმართველიც დგება, მრჩეველი თავს იმძინარებს)

მართველი: ბ-ნო მინისტრო, მოახერხეთ დაძინება?

მინისტრი: რა შესვლა-გასვლა აგიტყვათ?

მართველი: ვერ დავიძინეთ, ბ-ნო მინისტრო და რომ არ შეგვეწუხებინეთ, გამოვედით.

ოპერატორი: (ზის) ვმორიგეობთ ბ-ნო მინისტრო (საათს დასჩერებია). შუალამე გადავიდა, მაგრამ არავინ ჩანს.

(მინისტრი ხვდება, რომ მრჩეველი თავს იმძინარებს. ბრაზდება, მაგრამ ცდილობს, არ შეიმჩნიოს)

მინისტრი: (კორესპონდენტს) როგორა ხართ?

კორესპონდენტი: თუ არ ვმოძრაობ, არა მიშავს.

მინისტრი: თქვენც ნუ იმოძრავებთ.

კორესპონდენტი: ვცდილობ.

მინისტრი: (მრჩევლის შესახებ) გვერდიდან ხუთი წუთის წინ მომცილდა და როდის მოასწრო დაძინება?

მრჩეველი: არ მძინავს, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: თუ გეძინება, შიგნით დაგეძინა, რომ გამოხვედი, მეც გამაღვიძე. თვალები რატომ კქონდა დახუჭული?

მრჩეველი: ვასვენებდი.

მინისტრი: ეგეც კარგია. (თავს ვეღარ იკავებს) აგდებულად მექცევი. ამ ბოლო დროს ძალიან გამოიცვალე!

მრჩეველი: თქვენთან ურთიერთობაში არასოდეს არაფერი შემშლია და არც შემეშლება.

მინისტრი: მაგრამ ფეხზე არ წამომდგარხარ!

მრჩეველი: შუალამე გადავიდა. მთის წვერზე ვართ და წარამარა ფეხზე ადგომით გამოვხატო თქვენდამი პატივისცემა?

მინისტრი: მაგას არ მოვითხოვ, მაგრამ წესრიგში მაინც მოგეყვანა თავი!

ოპერატორი: ბ-ნო მინისტრო, ეგ პრობლემა, ჩვენ რომ არ ვიქნებით, მაშინ...

მინისტრი: თქვენს ყოფნა-არყოფნას მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით, უფრო სასარგებლოც კია თქვენი აქ ყოფნა. ეს კაცი ჩემი თანამშრომელია. გაიგო, მინისტრი მოდისო, ფეხები მაინც გაეწია!

მრჩეველი: არ გამიგია, რომ გამეგო, მოვწესრიგდებოდი.

მინისტრი: (მცველს) არ უთხარი?

მცველი: (ცოტა ხნის მერე) ვუთხარი, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: ჰოდა, იტყუება.

მრჩეველი: უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ვთქვი.

მინისტრი: იყოს უსიამოვნება, იყოს...

მრჩეველი: ბ-ნო მინისტრო, არ არის საჭირო, აქ უცხოებიც არიან.

მინისტრი: ჯერ უპატივცემულოდ მექცევი, მერე ამბობ, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლადო?

მრჩეველი: ამაზე მერე ვიღაპარაკოთ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: რატომ არ მპასუხობ?

მრჩეველი: (ბრაზდება) თქვენ ისე არ იქცევით, რომ პატივიცემას იმსახურებდეთ!

მინისტრი: ეგრეა?

მრჩეველი: დიახ, ეგრეა!

(მმართველი მრჩეველს ანიშნებს, გაჩუმდიო. მინისტრი თვალს მოჰკრავს)

მინისტრი: შენ ნუ ერევი!

მართველი: არ ვერევი.

მინისტრი: მაშ, რას ანიშნებდი?

მართველი: ვანიშნებდი, გაჩუმდი-მეთქი.

მინისტრი: რომ არ გაჩუმდეს, რა იქნება? სამი თვეა, სისხლს მიშრობს.

არცერთ ჩემს დავალებას არ ასრულებს. ოღონდ არ შეასრულოს და, ათას საწინააღმდეგო კანონს გამოაძვრენს საიდანლაც.

მრჩეველი: უსამართლობას სჩადით, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: თითქო ეგ იყოს მინისტრი და მე—მრჩეველი.

მრჩეველი: მე არაფერში გეწინააღმდეგებით. მხოლოდ ვცდილობ, შეც-დომა არ ჩაიდინოთ.

მინისტრი: მე შეცდომას არ ჩავიდენ.

მრჩეველი: დიახ, თქვენ არ ჩაიდენთ, გინდათ, მე ჩამადენინოთ. გინდათ, თქვენს ხელში სათამაშო თოჯინად მაქციოთ, დოლი. ეს მიჭირავს, დასაკრავი ჯოხები — თქვენ.

მინისტრი: გაჩერდი, გეყოფა, აკი იმიტომაც ვერ მოხერხდა იმ ოცდახუთი ახალგაზრდა სპეციალისტის სამსახურში მიღება!

მრჩეველი: გაფორმების პროცედურა არ დამთავრებულა, თორემ მიიღებენ.

მინისტრი: ნახე, ისევ ტყუიხარ. შენ არ მითხარი, ნუ მივიღებთ, ბ-ნო მინისტრო, ხვალ ესენი გაბერილ შტატად დაგვაწვებიან თავზეო? არ მითხარი? თქვი, არ მითხარი?

მრჩეველი: გითხარით.

მინისტრი: მე რა გიპასუხე?

მრჩეველი: იძულებული ვართ, მივიღოთო.

მინისტრი: ყველაფერს არ ამბობ, კიდევ?

მრჩეველი: არ მახსოვს.

მინისტრი: არ გითხარი, პარტიიდან გვთხოვეს-მეთქი? რაიონის ხელმძღვანელობას უნდა-მეთქი, არ გითხარი? (ყვირილით) პრემიერ-მინისტრის ინსტრუქციაა-მეთქი, არ გითხარი?!

მრჩეველი: გაფორმების პროცედურა...

მინისტრი: თავი დაანებე მაგ პროცედურას! — თუ მოინდომებთ, პროცედურა ერთ კვირაში მთავრდება. ჩემი გაცურება განდა, გინდა სხვა რაღაცაზე გადამატანინო ყურადღება და საქმე არ გააკეთო. არა, შენი რა საქმეა, თუ ჩვენი კადრები სხვის ხელში აღმოჩნდებიან? თუ იმის გამო არ აკეთებ, რომ საქმეს მე ვადევნებ თვალყურს და ვერაფერ გამორჩენას ნახავ?

მრჩეველი: გამორჩენაზე რომ მეფიქრა, ახლა უმდიდრესი კაცი ვიქნებოდი. მე პატიოსანი ადამიანი ვარ.

მინისტრი: შენა ხარ ბიუროკრატი, რომელიც თავის უვარვისობას პატიოსნებას არქმევს. მორჩა და გათავდა! რამე რომ შეგძლებოდა, ბიზნესი შეგძლეოდა? შენ სახელმწიფო გიმაგრებს ზურგს. უარესი — შენ ის არაფრის მაქნისი კაცი ხარ, რომელსაც მხოლოდ საქმის გაჯანჯლება შეუძლია. სხვებივით ვერც შენ მიმხვდარხარ, რომ ქვეყანა შეიცვალა. ებლაუჭებით საკუთარ სკამებს და რაც შეგიძლიათ, ხელს უშლით ქვეყნის გარდაქმნას, რადგან იცით, რომ თუ ხელი არ შეუშალეთ, დაიღუპებით.

მრჩეველი: ეს ახლა რა შუაშია?

მინისტრი: ყველა ბიუროკრატი მეჯავრება!

მრჩეველი: გეყოფა, კარგი რა.

(მრჩეველი ჩანთიდან განცხადებას იღებს და მმართველს აძლევს)

მინისტრი: მომეცი ერთი, რა არის!

(მმართველი განცხადებას გაუწვდის, მინისტრი კითხულობს. ზოგ სიტყვას ხმაშალლა კითხულობს. ზოგს – ბუტბუტით) სამონისტრო სამსახურს... წლიური შვებულება. შვებულებიდან დაბრუნებას... საპენსიო საბუთები... პატივისცემით... თხოვნა... ეს როდის დაწერე?

მრჩეველი: რა მნიშვნელობა აქვს, როდის დავწერე?

მინისტრი: სწორედაც რომ აქვს მნიშვნელობა.

მრჩეველი: ვერტმფრენში რომ შეხვედით, მაშინ. იმიტომ დავწერე, რომ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. მარტო მე კი არა, სხვა თანამშრომლებსაც ასე ექცევით.

მინისტრი: სიმართლე თუ გინდა, ამ განცხადებას ფასი მაშინ ექნებოდა, მანამდე რომ დაგეწერა, ვიდრე გეტყოდი, სამსახურიდან გაგავდებ-მეთქი. ახლა ისიც აღმოჩნდა, რომ შვებულება არასოდეს გამოგიყენებია. ორი წელია, შვებულებაში არ ყოფილხარ. ეს მეგობრები იფიქრებენ, იმიტომ არ გასულხარ შვებულებაში, რომ სამსახურზე ხარ მიჯაჭვული. სინამდვილეში კი ძალლის თავი სხვაგან მარხია. თქვი, რატომ არ გამოგიყენებია შვებულება?

მრჩეველი: ორი წლის განმავლობაში გიკითხავთ, რატომ არ მიდიხარო?

მინისტრი: რომ მეკითხა, გახვიდოდი?

მრჩეველი: მაშ არ გავიდოდი?

მინისტრი: არ გახვიდოდი, იმიტომ რომ მრჩეველი იყავი და სავარძლის უპატრონოდ დატოვება ერთი წუთითაც არ შეიძლება. თქვენ, ბიუროკრატებმა, ეს ძალიან კარგად იცით. თუ სადმე სიცარიელე გაჩნდა, მაშინვე შეივსება. სწორედ ამიტომ არ იყენებთ შვებულებას, რომ არ გინდათ ვინმემ დაინახოს, უთქვენოდაც კეთდება საქმე. შვებულებაზე თანხმობას არ მოგცემ. როგორც კი დავბრუნდებით, მოგხსნი, და სხვა თანამდებობაზე რომ იქნები, მაშინ ვიღაპარაკოთ შენს შვებულებაზე.

მრჩეველი: თქვენ ისიც არ იცით, რომ არ შეიძლება მრჩეველის ერთ დღეში მოხსნა. ახლა იმაზე ვიღაპარაკოთ, აქ როგორც აღმოვჩნდით: თათბირი გვაქვს. ის არის, უნდა დავამთავროთ, რომ ვიგებთ მიწისძვრის ამბავს. მძღოლს ეკითხებით, რამდენი საათის სავალიაო? „სამი საათისაო“, გეგბნებათ, თქვენ ანგარიშობთ სამი საათი წასვლას, ორი-სამი საათი იქ ყოფნას, სამი საათი უკან დაბრუნდებას დასჭირდება. ახლა დედაქალაქში ჩასვლა? საიდანაც არ უნდა შეხედოთ ამ საქმეს, ერთი ცხადია, იმ შეკრებას, რომელიც დედაქალაქში უნდა გაიმართოს, ვერ ჩავუსწრებთ, თანაც დამღლელი იქნება. ასე არა თქვით?

მინისტრი: დიახ, ზუსტად ასე იყო. მერე?

მრჩეველი: მერე ყველაზე მეტად იმან იმოქმედა, რომ გაივეთ, სხვა სამინისტროები მიწისძვრის რაიონში მიდიოდნენ, თანაც ვერტმფრენით, ე. ი. თქვენზე გაცილებით ადრე იქნებიან ადგილზე, პრესის თანხლებით. თქვენ აღარავის დასჭირდებოდით. ამ დროს (მიუბრუნდება კორესპონდენტსა და ოპერატორს) ვიგებთ, რომ თქვენ ვერტმფრენით მიფრინავთ. ჩვენი მინისტრი მაშინვე წასვლას გადაწყვეტს, რადგან ახლა სხვებზე გაცილებით ადრე ჩავა და ტელევიზიაში, რადიოსა და გაზეთებში გამოჩნდება, როგორც ის, ვინც პირველი გამოქმაურა უბედურებას. ვერტმფრენის სათადარიგო პილოტი არ არის. მოვა, მავრამ არავინ იცის, როდის. ცოტა ხნის წინ რომ თქვა, „ნანგრევებში დარჩენილი ხალხიო“, ესაო, ისაო ჭყუილია, მათი გულისათვის არ ატეხილა ეს აჟიოტაჟი, მა-

თი გულისთვის არ გამოფრენილა სათადარივო პილოტის გარეშე. მიზანი ერთი იყო, ბ-ნო მინისტრო, შოუს მოწყობა!

მმართველი: (ჩუმად) კარგი, გეთაყვა, რა!

მრჩეველი: ჩვენი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდე. ვერტმუნენი ჩამოვარდა, მფრინავი მკვდარია, კორესპონდენტი – დაჭრილი, რა გველის, არავინ იცის!

მინისტრი: მორჩი?

მრჩეველი: ჯერ არა (სიამოვნებს მინისტრს სიტყვას რომ უბრუნებს). თქვენ ეგოისტი ხართ, ბ-ნო მინისტრო, ჩემს სიცოცხლეში თქვენზე დიდი ეგოისტი არ შემხვედრია. (დაბნეულობა... მმართველი მიმიკით ანიშნებს, გაჩერდით. მინისტრი რამდენიმე წამს მართლა დაბნეულია. ნამდვილად არ ელოდა ასეთ პირობას)

მინისტრი: (ნერვიულობას არ იმჩნევს) ეგოისტი მიწოდეთ, არა?

მრჩეველი: დიახ. (მცველი, რომელიც აქამდე თავს იკავებდა, ამ სიტყვებზე მრჩევლის საცემრად გაიწევს, მაგრამ წინ ოპერატორი გადაუდგება. მინისტრი ანიშნებს, უკან დაიხიეო. კორესპონდენტი ოპერატორს ხელს მოჰკიდებს და გვერდში ამოიყენებს. ერთხანს ჩუმად არიან)

მინისტრი: ნუ ჩაერევით (ყველას სათითაოდ შეხედავს, ისინიც თანხმობის ნიშნად თავს უქნევენ. მცველი უკან იწევს, ოპერატორი და კორესპონდენტიც უკან იხევენ).

მინისტრი: (გარშემო მყოფ) მინდა რაღაც განვმარტო: მე ამ ქვეყნის მინისტრი ვარ, ამას გარდა – დეპუტატიც. ასე არ არის?

მმართველი: ასეა, ბ-ნო მინისტრო.

კორესპონდენტი: ასეა.

მინისტრი: ასე არ არის, ბ-ნო მრჩეველო?

მრჩეველი: (ამაოდ ცდილობს სიბრაზის დაფარვას) მაგაში ეჭვი არავის ეპარება.

მინისტრი: ერთი ვადით რომ აგვირჩიონ, უზომო ფულს ვხარჯავთ, უმაქნისი ბიუროკრატისათვის ძნელად წარმოსადგენ ფულს. პოლიტიკა კაპიტალია. თუ თქვენი მიზანი ქვეყნის სამსახურია, იძულებული ხართ ეს კაპიტალი დააგროვოთ. თუ გინდათ ხელახლა აგირჩიონ, მიზნად უნდა დაისახოთ, რომ სულ „დღის წესრიგში“ იყოთ. სულ ჩანდეთ, თორემ ამოიშლებით და, მორჩა! აბა, რომელს შეგიძლიათ მეჯლისის დეპუტატებიდან თხუთმეტი მაინც დაასახელოთ, დაუფიქრებლად?

მმართველი: მე არ შეგიძლია.

მინისტრი: ანდა შეგიძლიათ ჩამოვალოთ ყველა მინისტრი, თუნდაც პრემიერ-მინისტრი? არ შეგიძლიათ. მხოლოდ ზოგიერთი მათგანის სახელი გაგახსენდებათ. არ გიფიქრიათ, რატომ? იმიტომ, რომ ის ვინც ბევრს ლაპარაკობს თავის საქმეებზე, ვინც ცდილობს გამოაჩინოს ეს საქმეები, ჩაჭედოს ის ადამიანთა თავებში, ძალიან იოლად ახერხებს ხალხს გამუდმებით ახსოვდეს. მართალია, ამ დროს ტყავიდან ძვრება და ბევრ ოფლსაც ღვრის, მაგრამ წარმატებასაც აღწევს – „დღის წესრიგში“ რჩება, ანუ ხელახლა იქნება არჩეული. თუ პოლიტიკოსის კარიერას აირჩევ, უნდა დარჩე „დღის წესრიგში“. სხვა გზა არ არის.

მრჩეველი: გამოდის, ეს კატასტროფა ღვთის წყალობაა თქვენთვის.

მინისტრი: ვერ გავიგე.

მრჩეველი: თუ გამოაქვეყნებთ, რაც აქ გადაიღეთ, თქვენი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამდენად, ხელახალი ვადით არჩევა გარანტირებული გაქვთ.

მინისტრი: დიახ, დიახ. უარყოფითი მოვლენა საჩუქრად მექცა, მაგრამ განა მარტო მე? თქვენც. კანცელარიის რომელ მმართველს იცნობს ხალხი? ანდა ამ მცველის ბედი თვით პრემიერმინისტრის მცველს არ შეშურდება? დღემდე რომელ ტელეოპერატორს ხვდომია წილად ასეთი სიუჟეტის გადაღება? თუნდაც ეს ჩვენი ლამაზი კორესპონდენტი რომ დაშავდა, განა ამით პოპულარობასა და პრივილეგიას არ მოიხვეჭს? ახლა დაუფიქრებლად რომელი მეტყვით, ნებისმიერი მინისტრის მრჩევლის სახელსა და გვარს? (**მრჩეველის**) ეს შეკითხვა შენ არ გეხება. შენ, ღვთის ნებით, მრჩეველი ხარ და, ბუნებრივია, სხვების მრჩევლებს იცნობ. მაგრამ ახლა ჩემი მრჩევლის სახელს მთელი ქვეყანა გაიგებს. რა დიდებული რამ არის პოპულარობა! რა სასიამოვნოა ხალხის ყურადღების ცენტრში ყოფნა!

მრჩეველი: თუნდაც ჩვენი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად?

მინისტრი: თუნდაც. სულ საფრთხეში არა ვართ? რა გარანტია გვაქვს; რომ ქუჩაში სეირნობის დროს რომელიმე სახლის რომელიმე ფანჯრიდან გადმოვარდნილი ყვავილის ქოთანი საიქიონს არ გავვისტუმრებს? ვის შეუძლია გარანტია მოგვცეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მანქანა არ გადაგვივლის? წარმოუდგენელი საფრთხითა და რისკით არის სავსე ჩვენი ცხოვრება, ჩემო მრჩეველი. ეს ქვეყანა უზარმაზარი ღვეზელია. ყველა ცდილობს კარგი ნაჭერი დაითრიოს. ამიტომ იძულებულია, კარგად გააკეთოს საქმე, არ შეჩერდეს, დრო არ დაკარგოს.

ოპერატორი: ბ-ნო მინისტრო, თქვენი შეხედულებები ზუსტად ამ სისტემისათვის არის გამოსადეგი.

მინისტრი: მართალია. ჩვენ ხომ ამ სისტემაში ვცხოვრობთ, თუმცა სადღაა სხვა სისტემა? დარჩა კი სადმე?

ოპერატორი: სხვა სისტემის კრახი სულაც არ ნიშნავს ამ სისტემის ვარგისიანობას.

მინისტრი: განა მე გითხარით, ეს სისტემა კარგია-მეთქი? მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ჩვენ ამ სისტემაში ვცხოვრობთ და ეს რეალობაა. სხვა სისტემა უკეთესი რომ ყოფილიყო, განა დაინგრეოდა?

ოპერატორი: რეალობა კი არა, ფიქციაა. ადამიანის სიცოცხლეზე ფასეული რა უნდა იყოს? ახალი ვადით თქვენი არჩევა ღირს მფრინავის სიცოცხლედ და ჩემი მეგობრის დაშავებად? ხომ შეიძლებოდა, ჩვენც დავლუპულიყვით?

მინისტრი: ხომ არ დავიღუპეთ? ნახე რა კარგია: ვსუნთქავთ, ვკამათობთ. გეთანხმებით, შეიძლება ცოტა ავჩქარდი, მაგრამ მე სხვა რამის თქმა მინდა. თქვენც მოგებული დარჩებით პოპულარობის წყალობით.

მრჩეველი: თუ სიმართლე გინდათ, ვერ გამიგია, რას მარგებს პოპულარობა?

მინისტრი: ეგ დროც მოვა და ვნახავთ. (**მცველის**) შენგან დავიწყოთ, გამოთვალე შენი სარგებელი? პრემიერმინისტრის რომ მცველი დასჭირდეს, პირველი შენ გაახსენდები. ამაზე იფიქრე?

მცველი: მე თქვენ არასოდეს მოგზორდებით, ბ-ნო მინისტრო, პრეზიდენტმაც რომ მოინდომოს, თქვენგან...

მინისტრი: ყოჩაღ!

მცველი: ჭირსა და ლხინში თქვენთან ვიქნები. მოკვდიო, რომ მითხრათ, მოვკვდები.

მინისტრი: ოღონდ ლაპმაჯუნის ჭამას მოეშვი. გასაგებია?

მცველი: გასაგებია, ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: აი, ერთგულებისა და თავგანწირვის ნიმუში. მაგრამ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი: შენ რა სიკეთეს ნახავ, კანცელარიის მმართველო? ვერა ხვდები?

მამართველი: ვერა ვხვდები, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: იფიქრე, ცოტა იფიქრე.

მამართველი: ყველაზე უკეთ თქვენ ფიქრობთ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: (ვითომ გაბრაზდა) ადამიანო, ეს დაგიჩემებია და ამიტომ ყველა საქმეს მე მაკეთებინებ! (ოპერატორს) ერთი საათით რომ გაუშვებს მდივნებს, იმასაც მე მითანხმებს. თვითონ მიიღე, კაცო, გადაწყვეტილება! არა, ყველა წვრილმანზე მე უნდა დამეკითხოს, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო დრო უნდა წამართვას. ახალგაზრდავ, რომ იცოდეთ, რა დღეში ვარ! ერთი პრესმდივანიც მყავს, ქვეყნის ფულს ვუხდით და რას აკეთებს? თავის დასაწერ პრესის ბიულეტენებსაც მე მაწერინებს. მდივანი ვარ თუ მინისტრი? რომ დავბრუნდები, ამასაც უნდა მივხედო. საკითხს ნუ გადავუხვევთ; ვნახავთ, როგორი ცილობა ატყდება შენისთანა უხეირო მმართველზეც კი. შეიძლება რომელიმე სამინისტროს გენერალური მმართველიც კი გახდე. ახლა შენზე ვილაპარაკოთ, ყმაწვილო. შენზე და ამ ლამაზ კორესპონდენტზე. თვალნათლივ ვხედავ, რა ამბავი ატყდება, როგორც კი ინფორმაცია გამოქვეყნდება! მოკლედ, პროგრამის ხელმძღვანელები გახდებით, თქვენს განკარგულებაში ოპერატორებისა და კორესპონდენტების მთელი არმია იქნება, ვრცელ, ეფექტურ პროგრამებს გააკეთებთ.

ოპერატორი: ბ-ნო მინისტრო, ჩვენს ტელევიზიაში მნელია პროგრამის ხელმძღვანელი გახდე.

მინისტრი: მაშინ სხვა არხზე გადახვალთ. თანაც ბევრ ფულსაც მიიღებთ. (მრჩეველი ჟურნალის ჟურნალის გამოხატავს. მინისტრი თვალს შეასწრებს)

მინისტრი: (გაღიზიანებული) რაც შეეხება იმ კაცს, რომელიც არაფერი გახდება... მას ყველა იცნობთ. წამდაუწუმ თათბირის ჩატარებაზე რომ ლაპარაკობს, არ დაუჯეროთ. მაგას მხოლოდ ის აწუხებს, რომ თავისი ქალიშვილისათვის პრემიის გადაცემას ვერ ესწრება. სახელმწიფოს ინტერესებით, ესაო, ისაო, ყველაფერი თვალთმაქცობაა.

მრჩეველი: აღარ მინდა მოსმენა. ყველა ხერხსა და საშუალებას იყენებთ საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად. ცუდი ის არის, რომ ყველაფრის გამართლებას პოულობთ. თქვენ... არა, შენ შარლატანი ხარ.

მინისტრი: ვინ არის ეს მყეფარი!

მრჩეველი: ფუჭ!

მინისტრი: უნდა დაწამლო ასეთი ძაღლები! (მინისტრი მცველს ანიშნებს, ისიც მივარდება მრჩეველს და სილას გააწინავს. მრჩეველი დაეცემა. ოპერატორი მცველს დაიჭერს. ხელებს გაუკავებს. მცველი ამაოდ ცდილობს თავის დახსნას).

კორმსკონდენტი: (ეშინია, ოპერატორს არაფერი შეემთხვას. მინისტრს ეხვეწიბა) უთხარით, გაჩერდნენ.

(ოპერატორი მცველს მთელი ძალით დაახეთქებს მიწაზე. მცველი პისტო-ლუტს აშოიღებს)

ოპერატორი: არ ისროლო!

მრჩეველი: გაჩერდი!

პოლისპარნდენტი: გააკავეთ!

მინისტრი: დამშვიდდით, დამშვიდდით!

მაართველი: შვილებზე იფიქრეთ!

(მცველი გონის მოეგება, იარაღს დაუშვებს. მინისტრი მიუახლოვდება)

მინისტრი: შეგფერის, შვილო, ეს საქციელი?

მცველი: (ხელზე ჰკოცნის მინისტრს) მე...

მინისტრი: ჩადე ბუდეში. კიდევ რომ ვნახო... წადი, იქით მომიცადე.

(მცველი შორდება. იგრძნო თავისი დანაშაული. ერთხანს სიჩუმეა, მინისტრი მმართველს ანიშნებს, მომიახლოვდიო. ყველანი ჩუმად არიან. კორეს-პონდენტი ოპერატორს ხელს ჰკიდებს)

მინისტრი: (ხევებმა რომ არ გაიგონ) ნახე, რა ქნა ამ ხეპრემ? ცოტაც და, დავიღუპებოდით. უნდა გამოვასწოროთ ეს საქმე. ერთი მითხარი, რა ვუყო ამ მრჩეველს?

მაართველი: ისა, ბ-ნო მინისტრო... თქვენ...

მინისტრი: მორჩი ახლა „ბატონო, ბატონოს“. ახლა შენ მინისტრი ხარ, მე – შენი კანცელარიის მმართველი.

მაართველი: როგორ გეკადრებათ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: ყური მიგდე, ჩემს ადგილზე რას უზამდი ამ კაცს?

მაართველი: მე არაფერს... ვერაფერს ვუზამდი...

მინისტრი: კაცო, ვერ გაიგე რა გითხარი? დღეს შენ მინისტრი ხარ-მეთქი?

მაართველი: როგორ გეკადრებათ, ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: შვილო, მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რომ მინისტრი ხარ. რას იზამდი?

მაართველი: (გაბედულად) მე რომ მინისტრი ვიყო... (მაგრამ ისევ ძვე-ლუბურად დამფრთხალი) მინისტრობა რა ჩემი საქმეა, ბ-ნო მინისტრო!

მინისტრი: (გაჯავრებით) მართალია, შენ რა სამინისტრო კაცი ხარ. განა ადვილია მინისტრობა? ყველა ვერ იქნება.

მაართველი: მეც მაგას მოგახსენებთ.

მინისტრი: (წენარად) შვილო, ახლა გიბრძანებ! შენ საზღვაო მინისტრი იქნები... ახლა... ერთი წუთით... და იფიქრებ... იფიქრებ, რისი ლირსია ეს კაცი და ხმამაღლა მეტყვი... გაიგე?

მაართველი: გავიგე, ბ-ნო მინისტრო... (ფიქრობს) გაგებით გავიგე, მაგრამ ამ დონემდე ვერ გავკადნიერდები. რომ მითხრათ, მოკვდიო, ამ კლდეებში ჩავიჩეხები... მაგრამ მინისტრობას ვერ გავწევ.

მინისტრი: (ღიმილით) თუ სიმართლე ვინდა, ძალიან მომეწონა, შენი ადგილი რომ იცი. ხუმრობითაც რომ ვერ გაბედე... კიდევ უფრო გაიზარდა ჩემი შენდამი ნდობა.

მაართველი: ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ, ბ-ნო მინისტრო. ღმერთმა ქნას, მოკლე ხანში პრემიერ-მინისტრის პოსტზე მენახეთ...

მინისტრი: (შოეწონა, მაგრამ მაინც): ვერ გავიზიარებ, შენს სურვილს... მე მასზე ნაკლები როდი ვარ, მაგრამ ამბობენ, კედლებსაც ყური აქვთო. ვინმე გაიგებს, პრემიერ-მინისტრს ჩაწვეთებს და ჩამომახრჩობს. გაიგე?

მართველი: გავიგე, ბ-ნო მინისტრო...

მინისტრი: სხვასთან არავისთან წამოგცდეს. ახლა იცი, რას ვუზამ ამ მრჩეველს?

მართველი: დარწმუნებული ვარ, კარგად მოიფიქრებთ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: მომისმინე: მე ახლა მას დავუზავდები. უეჭველია, ამაში მომენტმარები.

მართველი: მიბრძანეთ, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: ვხედავ, არ ელოდებოდი ასეთ დასასრულს.

მართველი: რომ გითხრათ, არ გამიკვირდა-მეთქი, ტყუილი იქნება. დიდმა ალღომ ძალზე ჭკვიანური გამოსავალი იპოვა.

მინისტრი: ნამდვილად ვიპოვე.

მართველი: გთხოვთ, ბ-ნო მინისტრო, ლამის დამახრჩოს ცნობისმოყვარეობამ...

მინისტრი: ამ ავარიის შედეგად ეს კაციც პოპულარულ პიროვნებად იქცა, თანაც დაუმსახურებლად. როცა აქედან გავაღო, ტელევიზიაში, რადიოში, გაზეთებსა და ჟურნალებში ტყუილები რომ ილაპარაკოს და წეროს, ყველაფერი დაგვეკარგება, რასაც ავარიის შედეგად მივაღწიეთ. თქვი, ხომ დაგვეკარგება?

მართველი: თქვენ ძალიან დიდი კაცი ბრძანდებით, ბ-ნო მინისტრო, ძალიან დიდი.

მინისტრი: თუ ასეა, დროა, ამ კაცის უახლოესი მეგობარი გავხდე. რა იქნა?

მართველი: მოვა, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: გაუშვი, ნუ მოვა, ნახე, როგორ ჩამოსტირის ცხვირ-პირი. ალბათ, ხვალ მასმედიისათვის სათქმელს ამზადებს. თან მიწას დასჩერებია. როგორ ამბობენ? „მიწას რომ დასჩერებია“...

მართველი: „ის სხვის ხელს შესჩერებია“...

მინისტრი: ესეც კი არ იცი. „მიწას რომ დასჩერებია, იმ ცხენს მაგარი წიხლი აქვს“.

მართველი: თუ ნებას მომცემთ, ჩავიწერ.

მინისტრი: მაგის დრო არ არის. მე ახლა ვითომ საჭიროებისათვის წავალ, შენ მიდი და უთხარი: ბატონი მინისტრი ძალიან წუხს, რომ ვერ მოგილოცა შენი ბიჭის ისა-თქო.

მართველი: ბიჭის არა, გოგოსი.

მინისტრი: პო, როგორც არის... უთხარი, ძალიან წუხს, ქალიშვილის ქორწილს რომ ვერ ესწრები-თქო. გაიგე?

მართველი: მისი გოგო არა თხოვდება, ბ-ნო მინისტრო...

მინისტრი: აბა, რატომდა ახსენებდა თავის ქალიშვილს?

მართველი: ქორწილზე არაფერი უთქვამს... მოსწავლეა.

მინისტრი: ადამიანო, მახსოვს, რაღაცაზე ახსენა თავისი გოგო, ნიშნობაო თუ რაღაც ამგვარი.

მართველი: მხატვართა საერთაშორისო კონკურსში პრემია მიიღო. იმის საზეიმო აღნიშვნა აქვთ.

მინისტრი: კიდევ ერთი უბედურება. რა კავშირი აქვს საზღვაო სამინისტროს სურათებთან, ხელოვნებასთან? ამას ვის გადავეყარე? წასულიყო, კულტურის მინისტრის მრჩეველი გამხდარიყო და მეც გადავრჩებოდი.

მართველი: სურათებთან მის ქალიშვილს აქვს კავშირი, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: პო, როგორც არის! მიდი და როგორც საჭიროა, ისე უთხარი, ძალიან დავაშავე, ჩემო მრჩეველო-თქო... რომ დავბრუნდებით, მცველსაც გავა-გდებ, არ დამავიწყო!

მმართველი: გასაგებია, ბ-ნო მინისტრო.

მინისტრი: (წამოდგება) როგორც კი იქით წავალ, მიდი. ვიდრე დავბრუ-ნდები, ყველაფერი მოგვარებული იყოს.

(ხელით მოიხმობს მცველს)

მმართველი: როგორც მიბრძანებთ, ბ-ნო მინისტრო.

(ვიდრე მმართველი მრჩეველთან მივა, მცველიც მიუახლოვდება მინისტრს. სწორედ ამ დროს ისმის ვერტმფრენის ხმა. პირველად კორესპონდენტი გაიგონებს, შემდეგ – სხვებიც).

პორესარდენტი: გესმით?

რამრატორი: შეხედეთ, შეხედეთ!

მმართველი: აი, აი!

პორესარდენტი: რომ ვერ დაგვინახონ?

რამრატორი: ჩვენსკენ მოდის.

მმართველი: ჩემს შვილებს ვნახავ.

მცველი: აქა ვართ, აქა!

რამრატორი: მგონი, დაგვინახეს.

მცველი: ეეე!

მმართველი: ცეცხლს შეუკეთეთ!

პორესარდენტი: ძალიან მტკიცა.

(ვიდრე სხვები ხელებს იქნევენ და ყვირიან, მმართველი ცეცხლს აჩადებს)

რამრატორი: რა საჭიროა, საკმაოდ განათებულია აქაურობა.

მინისტრი: (ჩუმად მმართველს) ახლა მთელი ქვეყანა ჩვენზე ლაპარაკობს. შარი ხეირად გვექცა. (ხმამაღლა) აკი გითხარით, გვიპოვიან-მეთქი.

მმართველი: მართალი ბრძანდებით, ბ-ნო მინისტრო.

(უკვე აშკარად ჩანს ვერტმფრენი. ყველანი მლოცველებივით ხელებაწეულ-ნი დგანან და ყვირიან, მაგრამ ვერტმფრენის გუგუნი თანდათან სუსტდება)

რამრატორი: ეს მფრინავები ნამდვილად ბრძები არიან!

მინისტრი: სად მიდიხართ?!

მცველი: აქა ვართ!

რამრატორი: ნამდვილად საოცრებაა!

მცველი: დავრჩით პირში ჩალაგამოვლებულნი.

(ვერტმფრენის ხმა ისევ ძლიერდება, გაღიმებული სახეები. ხმა ჯხლოვ-დება)

მინისტრი: აი!

მმართველი: მოდის!

რამრატორი: ეი, ეი, მოდის! ეი, ეი, მოდის!

პორესარდენტი: ისევ უკან არ დაბრუნდეს.

მრჩეველი: უკვე გვიპოვეს.

მცველი: ჰეეეი!

მინისტრი: (მცველს) მორჩი ბლავილს!

(მთის თავზე აშკარად ჩანს ვერტმფრენი. ჰაერის ტალღა დამხვდურებს თმას უწეწავს. ყველანი მაღლა იყურებიან).

ხმა: (ეტყობა, შეგაფონია) ჰატივცემულო მინისტრო, გხედავთ, არ აღელ-დეთ, მალე ყველას გაგიყვანთ სამშვიდობოზე.

მაართველი: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო.

მრჩეველი: მადლობა ღმერთს.

კორმსაკონდენტი: გადავრჩებით.

მინისტრი: გაჩუმდით, არაფერი ისმის!

ხმა: ვერტმფრენი მანდ ვერ დაფრინდება, დასაჯდომი ადგილი არ არის!

მაართველი: დავღუპულვართ და ესაა.

მრჩეველი: როგორ გვიშველიან?

ოპერატორი: „ვიდრე ღელეს არ დაინახავ, შარვალს ნუ დაიკარწახებ...“

მინისტრი: გაჩუმდით, არაფერი ისმის!

ხმა: ახლა თოკის კიბეს ჩამოვუშვებთ. მაგრად მოეჭიდეთ.

ოპერატორი: ახლა გასაგებია.

მრჩეველი: კი მაგრამ, კიბე რად გვინდა?

მაართველი: ჩამოუშვებენ და ვნახავთ.

მცველი: მფრინავს როგორ ავიყვანთ?

მინისტრი: მფრინავს აქ დავმარხავთ, გაჩუმდით!

ხმა: ვერტმფრენში მხოლოდ ერთი კაცის ადგილია. ყურადღება, ყურადღება! ამ ვერტმფრენში მხოლოდ ერთი კაცის ადგილია. ახლა ერთ-ერთ თქვენგანს ავიყვანთ. ნახევარ საათში სამგზავრო ვერტმფრენი მოგაკითხავთ და ყველას ავიყვანთ!

ოპერატორი: სირცხვილი თქვენი!

მაართველი: არ გამოვიდა.

მრჩეველი: ცუდად არის ორგანიზებული.

მცველი: ბ-ნი მინისტრი წავა.

ოპერატორი: (დაცინვით) კენჭი ვყაროთ. ვისი სახელიც ამოვა, უფსკრულში გადავარდეს. ვინც ბოლოს დარჩება, ავიდეს ვერტმფრენში და გაფრინდეს.

მინისტრი: ხუმრობის დროა?

ხმა: თოკი რატომ არ ჩაუშვით, კაცო!

ხმები: წვერი აქ არის!

გახსენი!

ნუდარ ალოდინებ!

მზად ხართ?

ყველანი ერთხმად: დიახ, დიახ! მზადა ვართ!

ხმა: თქვენ არ გეკითხებით. კაუჭი არ დაგავიწყდეთ!

ოპერატორი: ესენი დაგვცინიან!

ხმა: ახლა ვუშვებთ თოკის კიბეს. გახსოვდეთ, მხოლოდ ერთი კაცი! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

(ეშვება თოკის კიბე და კაუჭი. ყველანი აქეთ-იქით იფანტებიან დამფრთხალი წიწილებივით).

ხმა: ნუ გეშინიათ! მიდით! დაიჭირეთ კიბე. გესმით ჩემი?

ოპერატორი: გვესმის!

მაართველი: როგორ არ გვესმის!

(სხვები ანიშნებენ ვერტმფრენს, გვესმისო)

ხმა: გაიგეს.

(მცველი მიირბენს და კიბეს დაიჭერს. მინისტრი კიბისაკენ მირბის)

ოპერატორი: იცის, რომ ეს ქალიშვილი დაშავებულია და მაინც...
მრჩეველი: საკუთარი თავის მეტი არავინ ახსოვს!
მართველი: ეგოისტი!

პორესპონდენტი: რა გარეწარი ყოფილა!

(მინისტრის საქციელმა მაყურებელიც უნდა აღაშფოთოს)

ოპერატორი: (კორესპონდენტს) შენ წახვალ! (გაბრაზებული მიდის მინისტრისკენ)

მინისტრი: (ერთი ხელით კიბეს იჭერს, მეორეთი კორესპონდენტს ანიშნებს) მოდი, ლამაზო ქალბატონო. ჯერი შენია.

მართველი: (ტაშს შემოკრავს) ბრავო, ბ-ნო მინისტრო, ბრავო!

მცველი: (ცრემლმორეული) რა ადამიანია!

ოპერატორი: მეც შემაცდინა.

პორესპონდენტი: (გაუბედავად მიდის. უკვირს) წარმოგიდგენიათ?

მრჩეველი: (არ სჯერა) რაღაც ჩაიფიქრა, მაგრამ რა?

(კორესპონდენტი კიბეს იჭერს, ასვლას აპირებს)

მინისტრი: (კორესპონდენტს მკლავში ხელს წაავლებს, ვითომ ეხმარება. ოპერატორს) მიდი, რას უდგახარ? გადაიღე!

(ოპერატორს სხვა გზა წრა აქვს, გადაღებას იწყებს, კორესპონდენტი კიბეზე შედგება, მინისტრი ვითომ ეხმარება. ობიექტივის წინ პოზას იჭერს. გადაღება მთავრდება. მინისტრი აპარატიდან კასეტას იღებს, კორესპონდენტს იღლიაში ამოუდებს)

მინისტრი: გეთაყვა, უკანასკნელ ცნობებს მიუსწარი!

ფარდა

სტამბოლი, 1993 წ.

თუნჯერ ჯუჯანოლლუ თურქულ დრამატურგიაში 70-იან წლებში გამოჩენდა და იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკირა. იგი არის სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსების ლაურეატი, რომელთა შორის აღსანიშნავია „ევროპის დრამატურგთა კონკურსი“, სადაც მწერალი წარსდგა პიესით „ვერტმფრენი“.

თუნჯერ ჯუჯენოლლუს პიესები თარგმნილია მრავალ ენაზე და დადგმულია მსოფლიოს სხვადასხვა თეატრში. პიესები „ჩიხი“ და „იდეალური ქალები“ წარმოდგენილი იყო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ავსტრია, იუგოსლავია, აზერბაიჯანი და სხვ.

თუნჯერ ჯუჯენოლლუ ქართული კულტურის დიდი ქომაგი გახლავთ. მისი უშუალო დახმარებით ითარგმნა თურქულად თამაზ ჭილაძის პიესა „ბუდე მეცხრე სართულზე“. თურქშა დრამატურგმა თამაზ ჭილაძესთან საუბრისას აღნიშნა: „საქართველოსა და თურქეთს შორის ხიდი ვავდოთ... ეს კი მხოლოდ კულტურული ურთიერთობებითაა შესაძლებელი“.

თურჯერ ჯუჯენოლლუს შემოქმედება გამოირჩევა თურქეთის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უველა მნიშვნელოვანი მოვლენისადმი დიდი ინტერესით. აქედან იღებს ხათვეს მწერლის შემოქმედების თემატიკაც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თ. ჯუჯენოლლუს ენისათვის დამახასიათებელია ორი ნიშანი — მოქლე ფრაზა და მეტყველი დიალოგი. ეს თავისებურება მწერლის ნაწარმოებებს ერთი ამოსუნთქვით წასაკითხს ხდის.

